სატელევიზიო სივრცე საქართველოში მფლობელები, მაკონტროლებლები და საკანონმდებლო გარემო

20 ნოემბერი, 2009 წ.

შესავალი

დღეს საქართველოს სატელევიზიო სივრცე ნაკლებად დამოუკიდებელია, ვიდრე ის 2003 წლის „ვარდების რევოლუციამდე" და პრეზიდენტ შევარდნაძის ხელისუფლების შეცვლამდე იყო. ქვეყანაში არსებობს თავისუფალი ბეჭდური მედია, რომლის ტირაჟი მცირეა, მაგრამ პლურალიზმი მნიშვნელოვნად აკლია ტელესივრცეს. ეს მაშინ, როცა მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ინფორმაციის ძირითად წყაროდ ტელევიზიას ასახელებს.

2009 წლის 15 ოქტომბერს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა CNN-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ საქართველოში 27 დამოუკიდებელი არხია და ყოველდღე არა ერთი პოლიტიკური თოქშოუ გადის ეთერში.[1] სინამდვილეში საქართველოში 27-ზე მეტი არხიც არის, თუმცა, უცნობია, მათი რეალური მფლობელები და მაკონტროლებლები ვინ არიან.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) სამოქმედო გეგმის თანახმად, საქართველომ აიღო ვალდებულება, გაეუმჯობესებინა მედიის, როგორც დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის განვითარებისათვის საჭირო ერთ-ერთი ძირითადი ინსტიტუტის, თავისუფლების ხარისხი.[2] მიმდინარე წლის შემოდგომის ბოლოს ევროკავშირმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ ფუნდამენტური თავისუფლებები, მათ შორის, „აზრის გამოხატვის თავისუფლება და მედიის თავისუფლება საქართველოსთან ორმხრივი დიალოგის პროცესში მნიშვნელოვანი კომპონენტებია".[3]

ეს ანგარიში მიმოიხილავს საქართველოს სატელევიზიო სექტორში დღეს არსებულ მდგომარეობას, კერძოდ, ნაციონალური ტელეარხების მფლობელების საკითხს, მედიაბაზარს და საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობას.

როგორც კვლევამ ცხადყო, საქართველოს სამაუწყებლო სფეროს რეგულირების მოქმედი სისტემა მედიის მფლობელთა გამჭვირვალობას და კონკურენტუნარიანი, პლურალისტური სატელევიზიო ბაზრის შექმნას ვერ უზრუნველყოფს, თუმცა, ამ პრობლემის გადაჭრა მაუწყებლობის შესახებ კანონში შესწორებების შეტანის გზით ადვილად არის შესაძლებელი. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია მეტ ინფორმაციას ფლობდეს სამაუწყებლო

[1] მიხეილ სააკაშვილის ინტერვიუ CNN-ის გადაცემაში "Connect to the World", 2009 წლის 15 ოქტომბერი, http://edition.cnn.com/video/#/video/world/2009/10/15/ctw.connector.saakashvili.cnn

[2] საქართველოს მთავრობამ ასევე აიღო ვალდებულება, ხელი შეუწყოს „საქართველოს კანონის მაუწყებლობის შესახებ" და „საქართველოს კანონის სიტყვის გამოხატვის თავისუფლების შესახებ" სათანადოდ განხორციელებას. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა http://ec.europa.eu/world/enp/pdf/action_plans/georgia_enp_ap_final_en.pdf

[3] ევროკავშირის საბჭო: ევროკავშირი-საქართველოს თანამშრომლობის საბჭო, მე-10 შეხვედრის პრესრელიზი http://www.consilium.europa.eu/uedocs/cms_data/docs/pressdata/en/er/110768.pdf

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

ლიცენზიების მქონე კომპანიების აქციონერებზე და რომ ეს ინფორმაცია ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს. გარდა ამისა, მარეგულირებელი კომისია, მისი წევრებისა და ხელმძღვანელის დანიშვნის წესის გათვალისწინებით, დღესდღეობით ბოლომდე დამოუკიდებელი ორგანო არ არის და საჭიროა მისი დეპოლიტიზაცია.

აუცილებელია საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის რეფორმირებაც. დღეს ეს არხი სახელმწიფო მაუწყებელს უფრო წააგავს, ვიდრე საზოგადოების ინტერესების გამტარებელ ინსტიტუტს. პრეზიდენტის გეგმა ტელევიზიის სამეურვეო საბჭოს წევრთა რაოდენობა ცხრიდან თხუთმეტამდე გაზარდოს და ოპოზიციას მისი შვიდი წევრის დანიშვნის შესაძლებლობა მისცეს არხს უფრო პოლიტიზირებულს გახდის. სწორად რეფორმირებული პირველი არხი, ინფორმატიული და კრიტიკული სატელევიზიო სიუჟეტებისა და გადაცემების გაშვებით, მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს სატელევიზიო სივრცის პლურალიზმის გაზრდას და მის დახვეწას. ჯერჯერობით კი მის დამოუკიდებლობის ხარისხს დაფინანსების სისტემაც ამცირებს. არსებული კანონმდებლობით, საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტს მთავრობა განსაზღვავს. შესაბამისად, მისი დაფინანსება ხელისუფლების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. უკეთესი იქნება, თუ საზოგადოებრივი მაუწყებელი საქართველოს მოქალაქეებისგან აკრებილი შესაბამისი გადასახადით დაფინანსდება, ან აღდგება ადრე არსებული სისტემა, როცა მაუწყებლის ბიუჯეტი შიდა პროდუქტის 0,15%-ს შეადგენდა.

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

წინაისტორია

2008 წლის სექტემბრის მიმართვაში „დემოკრატიული რეფორმების ახალი ტალღის“[4] შესახებ მიხეილ სააკაშვილმა პირველად აღიარა, რომ მედიის არასაკმარისი თავისუფლება საქართველოს „დემოკრატიის ძირითად გამოწვევად“ რჩებოდა. მან აღნიშნა, რომ კერძო მედიაკომპანიების საქმეში „ცხვირის ჩაყოფას“ არ აპირებდა, რომ ყურადღებას საზოგადოებრივი მაუწყებლის რეფორმირებას მიაქცევდა[5] და ოპოზიციური პარტიებისთვის ტელეეთერის მეტ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფდა.[6] ამ დაპირებების მიუხედავად, ბოლო წლის განმავლობაში ელექტრონულ მედიაში მნიშვნელოვანი სასიკეთო ძვრები არ შეინიშნება. ევროკავშირის 2009 წლის აპრილის დოკუმენტში ნათქვამია, რომ საქართველოში „მედიის თავისუფლება და პლურალიზმი კვლავ პრობლემატურ სფეროდ რჩება“[7]. ევროპელმა დიპლომატები მოუწოდებენ საქართველოს ხელისუფლებას, დადებული ვალდებულებები შეძლებისდაგვარად სწრაფად შეასრულოს.[8]

საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების კვლევების თანახმად, უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოში მედიის თავისუფლება მნიშვნელოვნად შემცირდა. Freedom House-ის 2009 წლის „პრესის თავისუფლების რანგირებაში“ თანახმად, საქარველო, რუსეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის მსგავსად, იმ ქვეყნებს უახლოვდება, სადაც მედია „არ არის თავისუფალი“.[9] მართალია, ბეჭდვითი მედია პლურალისტურია, მაგრამ მისი დაფარვის ზონა საკმაოდ მწირია და მხოლოდ დიდ ქალაქებზე ვრცელდება. „რეპორტიორები საზღვრებს გარეშეს“ ბოლო შეფასების თანახმად, მედიის თავისუფლების ხარისხი 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ოდნავ გაუმჯობესდა, თუმცა, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ძირითადი შეფასებებით, დღეს საქართველოში მედია იმაზე ნაკლებად თავისუფალია, ვიდრე ის 2003 წელს იყო.[10]

საქართველოში მედიის თავისუფლების შეფასება

წელი	ნეიტრალური ხმლების კანონმდებლობა	რსგ: ქულები(საუკეთეს ო ქვეყანა=1, ყველაზე ცუდი ქვეყანა=100)	Freedom House-ის მიერ ქვეყნის რანგირება	FH: ხმის თავისუფლების განვითარ(0=თავისუფალი 30=არა თავისუფალი)	ზეგავლენა (0 = თავისუფალი, 40 = არა თავისუფალი)	FH: პერსონალური წესი(0=თავისუფალი, 30=არა თავისუფალი)	FH: (0-30=თავისუფალი; 31-60; ნაწილობრივ თავისუფალი; 61-100=არა თავისუფალი)	FH: ვლასიფიკაცია	მედიის განვითარების ინდექსი(ხელოვნურ ად=4.0, ყველაზე ცუდი=0)
2002	N/A	N/A	N/A	20	18	15	53	ნახევრად თავისუფალი	1,96
2003	73 (166)	17,33	N/A	18	21	15	54	ნახევრად თავისუფალი	2,14
2004	94 (167)	27,5	114 (193)	16	23	15	54	ნახევრად თავისუფალი	2,23
2005	99 (167)	25,17	116 (194)	14	26	16	56	ნახევრად თავისუფალი	2,4
2006	89 (168)	21	118 (194)	13	27	17	57	ნახევრად თავისუფალი	N/A
2007	66 (169)	20,83	120 (195)	13	27	17	57	ნახევრად თავისუფალი	2,07
2008	120 (173)	31,25	128 (195)	14	28	18	60	ნახევრად თავისუფალი	1,89
2009	81 (175)	18,83	128 (195)	14	29	17	60	ნახევრად თავისუფალი	N/A

წყაროები: რეპორტიორები საზღვრებს გარეშე; http://www.rsf.org/.
Freeedom House - პრესის თავისუფლება; http://freedomhouse.org/template.cfm?page=16.
IREX – მედიის განვითარების ინდექსი; http://www.irex.org/programs/MSI_EUR/.

[4] დაპირებული დემოკრატიული რეფორმების იმპლემენტაციის უფრო დეტალური ანალიზი შეგიძლიათ იხილოთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" ანგარიშში „დემოკრატიის ახალი ტალღა“, სექტემბერი 2009

[5] Civil.ge: „სააკაშვილი „დემოკრატიის ახალ ტალღაზე“ საუბრობს“, 2008 წლის 16 სექტემბერი, http://www.civil.ge/eng/article.php?id=19526

[6] მიხეილ სააკაშვილის განცხადება გაერთიანებული ერების ასამბლეის 63-ე პლენარულ სხდომაზე, 2008 წლის 23 სექტემბერი

[7] „ვროკომისია: ევროპის სამეზობლო პოლიტიკა საქართველოს მიერ განხორციელებული საქმიანობის ანგარიში

[8] „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ინტერვიუ ევროპელ დიპლომატებთან საქართველოში, 2009 წლის 30 სექტემბერი

[9] Freedom House 2009 წლის პრესის თავისუფლება, 2009 წლის 3 მაისი

[10] Ibid.; „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“, http://www.rsf.org/en-classement1003-2009.html.

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

კითხვების გარეშე

სამი ძირითადი ნაციონალური არხი „რუსთავი 2“, „იმედი“ და პირველი საზოგადოებრივი არხი ნაკლებად ჩანს დაინტერესებული ისეთი გადაცემების გაშვებით, სადაც აღმასრულებელ ხელისუფლებას, მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის მნიშვნელოვან საკითხებზე დებატები გაიმართებოდა. პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ ამ არხების საინფორმაციო პროგრამები ძალიან ჰგავს ერთმანეთს, რაც აჩენს ეჭვს, რომ მათი ახალი ამბები გარკვეული კოორდინაციით მზადდება.[11]

ნაციონალური არხები არა მხოლოდ საინფორმაციო გადაცემებით ჰგვანან ერთმანეთს, არამედ იმითაც, რომ ხელისუფლების ქმედებების კრიტიკას ერიდებიან. ისინი ასევე ერთნაირად არ უთმობენ ეთერს საგამომძიებლო სიუჟეტებსა და გადაცემებს. არასამთავრობო ორგანიზაცია „ინტერნიუსის“ განვითარების დირექტორი თამუნა კაკულია ეროვნულ მაუწყებლობების საინფორმაციო გადაცემებს „სრულიად იდენტური და მართვადი“ უწოდა.[12]

„დღევანდელ სინამდვილეში სამაუწყებლო არხებს შორის სერიოზული კონკურენცია არ არსებობს“, აღნიშნა ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ მედიის მხარდაჭერის პროგრამის მენეჯერმა ხატია ჯინჯიხაძემ. „როდესაც რეგიონებში მომხდარი ამბავია გასაშუქებელი, სამივე არხიდან ერთი კორესპონდენტია რეგიონში მივლენილი. ადრე სამივე არხი თავის ჟურნალისტს აგზავნიდა და სამივე ცდილობდა ესა თუ ის ამბავი სხვაზე უკეთესად გაეშუქებინა. დღეს ხშირად ნახავთ სიუჟეტებს, რომელთა ერთადერთი განმასხვავებელი ნიშანი კადრზე დადებული განსხვავებული ხმებია. ნაციონალურ არხებზე იდენტური არა მარტო ახალი ამბები, არამედ სიუჟეტების თანმიმდევრობაც“.[13]

ამ აზრს „რუსთავი 2-ის“ საინფორმაციო პროგრამების ყოფილი დირექტორი და ამჟამად დამოუკიდებელი სტუდია “GNS”-ის თანადამფუძნებელი თამარ რუხაძეც იზიარებს. მისი თქმით, “წამყვან არხებზე ექსკლუზიური სიუჟეტები არ არის. მათი მომზადებისას, როგორც წესი, ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტები გამოტოვებულია“.[14]

მედიის მომხმარებლები და დამოკიდებულება მის მიმართ

ტელევიზია ყველაზე გავლენიანი მედიასექტორია საქართველოში. ის ადგენს პოლიტიკურ დღის წესრიგს და ამით მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ აზრზე. საშუალოდ, საქართველოს მოქალაქე ტელევიზორის წინ 3 საათსა და 58 წუთს ატარებს[15] (ევროპის მოქალაქე -

[11] 7 ოქტომბერს, „რუსთავი 2“-მა, „იმედმა“ და პირველმა საზოგადოებრივმა არხმა გერმანელი სამართლის პროფესორი, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული რუსეთ-საქართველოს ომის საგამოძიებო კომისიის წევრი ოტტო ლუხტერჰანტი რუსულ კომპანია „გაზპრომთან“ თანამშრომლობაში დაადანაშაულეს და აღნიშნეს, რომ ამ მიზეზით კომისიის ანგარიშის ზოგიერთი ნაწილი მოსკოვის სასარგებლოდ დაიწერა. თუმცა, ამ ბრალდებასთან დაკავშირებით არც ერთ მათგანს მტკიცებულებები არ წარმოუდგენია. იგივე განმეორდა ფრენკ-ვოლტერ შტაინმაიერის შემთხვევაში, როდესაც ის, ყველანაირი მტკიცებულებების გარეშე, „გაზპრომთან“ კავშირში დაადანაშაულეს. Civil.ge: „გერმანიის საელჩო მოითხოვს საქართველოს მედიამ შეასწოროს მცდარი ინფორმაცია“, 2009 წლის 8 ოქტომბერი http://civil.ge/geo/article.php?id=21860&search=; 2009 წლის 28 ოქტომბერს „რუსთავი 2-მა” და „იმედმა” ახალ ამბებში არასწორი ინფორმაცია გაავრცელეს „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ 2008 წლის „კორუფციის აღქმის ინდექსში“ საქართველოს რანგირებაზე . http://www.transparency.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=210&info_id=542

[12] ინტერვიუ „ინტერნიუსის“ განვითარების დირექტორთან თამუნა კაკულიასთან, 2009 წლის 30 სექტემბერი. ორგანიზაცია მიზნად ისახავს საქართველოში მედიის თავისუფლების განმტკიცებას. სხვა აქტივობებთან ერთად, ის ატრენინგებს ჟურნალისტებს და აქვს მედია-პორტალი media.ge

[13] „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ინტერვიუ ფონდ “ღია საზოგადოება საქართველოს” მედია მხარდაჭერის პროგრამის მენეჯერთან ხატია ჯინჯიხაძესთან

[14] „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ინტერვიუ GNS-ის თანადამფუძნებელთან თამარ რუხაძესთან,(GNS ფინანსდება ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ მიერ და ამზადებს “კვირის რეპორტაჟს” ტელეკომპანია „კავკასიისთვის“) 2009 წლის 5 ოქტომბერი

[15] „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ინტერვიუ აღმასრულებელ დირექტორთან, ნინო გოგოლაძესთან; 2009 წლის 29 სექტემბერი

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

3 საათსა და 45 წუთს)[16]. „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის“ (IRI) საქართველოს ოფისის 2009 წლის ივნისის საზოგადოებრივი აზრის კვლევის თანახმად, ქართველების 96% პოლიტიკურ ინფორმაციას ტელევიზიით იღებს.[17]

მედიის მიმართ ნდობა საკმაოდ მაღალია გამოკითხულთა უმრავლესობა ტელევიზიით გადმოცემულ ახალ ამბებს სანდო ინფორმაციად მიიჩნევს. 63% მედიის მუშაობას დადებითად აფასებს. უარყოფითი არზი 28%-ს აქვს. მედიაზე მაღალი ნდობა მხოლოდ ეკლესიას, ჯარსა და პოლიციას აქვთ. ქართველების 65% დარწმუნებულია, რომ მასობრივი მედიის საშუალებები მთავრობის კონტროლისგან სრულიად (20%) ან ნაწილობრივ მაინც თავისუფალია (45%). 16% თვლის, რომ მედია ბოლომდე თავისუფალი არ არის, 3% კი ფიქრობს, რომ ის საერთოდ არ არის თავისუფალი.[18]

„მედიის მომხმარებლებმა არ იციან, თუ ვინ ფლობს და ვინ აკონტროლებს სატელევიზიო არხებს“, აღნიშნა თამუნა კაკულიამ, „ბევრი ამას არც აქცევს დიდ ყურადღებას. მათ არ იციან, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ამ ინფორმაციის გამჭვირვალობა“.[19]

საქართველოს ტელესივრცის საერთო სურათი

საქართველოს სატელევიზიო ბაზარზე ორი კერძო ტელეარხი „რუსთავი 2“ და „იმედი“ დომინირებს. 2009 წლის პირველი 6 თვის მონაცემებით, საბაზრო წილის 35,6%-ით „რუსთავი 2“ ქვეყანაში ყველაზე პოპულარული არხია. მას მოსდევს „იმედი“ 25,4% საბაზრო წილით.[20] ორივე არხს ერთად ბაზრის 61% უკავია, რაც იმას ნიშნავს, რომ ტელევიზორის წინ გატარებული ყოველი 100 წუთიდან 61-ს საქართველოს მოქალაქეები „რუსთავი 2-სა“ და „იმედს“ უთმობენ.

პირველი საზოგადოებრივი არხი საბაზრო წილის მხოლოდ 8%-ს ფლობს და მასზე დაკისრებულ ძირითად ფუნქციის სრულფასოვნად შესრულებას საზოგადოების კრიტიკული და ობიექტური ინფორმაციით უზრუნველყოფას ვერ ახერხებს.[21]

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციას საკუთარი არხი აქვს („აჭარა“). ის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან ფინანსდება და ყოველწლიურად საშუალოდ 5 მილიონ ლარს იღებს. ამ ტელევიზიის თანამშრომლები საჯარო მოხელეები არიან.[22]

„კავკასია“ და „მაესტრო“ მცირებიუჯეტიანი არხებია, რომელთა დაფარვის ზონა მხოლოდ თბილისზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ვრცელდება. ეს ორი არხი ერად ბაზრის მხოლოდ 6,7%-ს ფლობს.

რამდენიმე მცირე, ადგილობრივი საკაბელო არხი რეგიონებშიც ფუნქციონირებს. საინფორმაციო პროგრამებს ყველა მათგანი ამზადებს. ამ არხების შემოსავლის ძირითადი წყარო არა რეკლამა, არამედ ნეკროლოგები და სხვა სახის განცხადებებია. ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში მათ ნაწილობრივ ადგილობრივი ხელისუფლება აფინანსებს.

---

[16] 2007 წლის მონაცემები RTL-Group/IP-Network, http://www.ip-network.com/tvkeyfacts.

[17] ინფორმაციის მიღების სხვა წყაროებად დასახელდა: გაზეთები (24%), მეგობრები და ნათესავები (18%), რადიო (17%), ჟურნალები (9%), ინტერნეტი(8%), კოლეგები სამსახურში (1%). გამოკითხვა საქართველოს მასშტაბით ჩაატარა Interrnational Republic Institute-მა, 2009 წლის ივნისი, 46-ე გვერდი

[18] Ibid, გვ. 48, 49

[19] ინტერვიუ „ინტერნიუსის“ განვითარების დირექტორთან თამუნა კაკულიასთან, 2009 წლის 30 სექტემბერი

[20] მონაცემები მოგვაწოდა TV MR GE-მ. ის ფლობს AGB Nielson Media Research ლიცენზიას. კომპანია ტელემოხმარებას საქართველოს შვიდ მსხვილ ქალაქში იკვლევს (თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ზუგდიდი, გორი, ფოთი, და ბათუმი). კომპანია აცხადებს, რომ მონაცემებში შესულია ინფორმაცია საქართველოს ურბანული მოსახლეობის შესახებ. http://www.agbnielsen.net/whereweare/licensed/georgia.htm

[21] ქვემოთ იხილეთ ცალკე თავი საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ

[22] Media.ge: „რეგიონი, სადაც სახელმწიფო მედია ისევ არსებობს“, http://www.media.ge/ka/node/6581

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

<u>საქართველოს სატელევიზიო არხების საბაზრო წილი:</u>
გამოკითხულია 4 წელზე ზევით ასაკის ურბანული მოსახლეობა

არხი	2009 წლის პირველი ნახევარი
რუსთავი 2 (ეროვნული)	35,61%
იმედი (ეროვნული)	25,43%
1 არხი (ეროვნული,საზოგადო)	8,25%
კავკასია	3,99%
საქართველო	3,44%
მზე (ეროვნული)	3,40%
მაესტრო	2,67%
ევრიკა	1,88%
აჭარა	1,87%
პირველი სტერეო	1,05%
Music Box	0,77%
სხვა ქართული არხები	1,42%
სხვა რუსული არხები	5,95%
სხვა უცხოური არხები	4,27%

მონაცემები მოგვაწოდა TV MR GE-მ.

სატელევიზიო არხების დაფინანსება

საქართველოს მედიაბაზარზე არსებული პრობლემები ტელევიზიების დამფინანსებლებს აძლევს საშუალებას, სარედაქციო პოლიტიკაში ჩაერიონ. სარეკლამო ბაზარი იმდენად მცირეა, რომ რეკლამიდან შემოსული თანხები მედია საშუალებების განვითარების შესაძლებლობას არ იძლევა და ტელეარხების დიდი ნაწილი მფლობელების სუბსიდიების ხარჯზე არსებობს. მცირე ტელევიზიებისთვის თითქმის არარეალურია რეკლამების ისეთი რაოდენობით მოზიდვა, რომ მაღალხარისხიანი ტელეგადაცემები მოამზადონ, დაფარვის ზონა გაზარდონ და შესაბამისად, მეტი აუდიტორია ჰყავდეთ. სარეკლამო ბაზრის სიმცირე არა მხოლოდ ახალი არხების გაჩენის უშლის ხელს, არამედ უკვე დამკვიდრებულ ეროვნულ არხებსაც უქმნის სერიოზულ სირთულეებს.[23]

[23] „რუსთავი 2“ და „იმედი“ არ არიან ვალდებულები, საჯარო გახადონ ფინანსური დოკუმენტაცია და არც არასოდეს გამოუქვეყნებიათ ინფორმაცია თავიანთი მოგებისა და ხარჯების შესახებ

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

სატელევიზიო რეკლამაში 2008 წელს სულ დაახლოებით 30-დან 33 მილიონამდე ამერიკული დოლარი დაიხარჯა.[24] სატელევიზიო ბაზრის ყოფილი წარმომადგენელი, რომელმაც ანონიმურად დარჩენა არჩია, თვლის, რომ ეს მონაცემებიც კი ზედმეტად ოპტიმისტურია.[25] სამწუხაროდ, საქართველოს სარეკლამო ბაზრის შესახებ ზუსტი მონაცემები არ არსებობს, რადგან არ არსებობს ორგანიზაცია, რომელიც რეკლამის სუფთა გასავლების ან ზრდადი შემოსავლების განსაზღვრით არის დაკავებული. 2008 წლის აგვისტოს ომისა და გლობალური კრიზისის შედეგად რეკლამაზე დანახარჯებმა კიდევ უფრო იკლო.

კერძო ტელევიზიებმა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას მიაწოდეს ინფორმაცია, რომ 2008 წელს მათი შემოსავლები 80,8 მილიონი ლარი იყო. საკაბელო ლიცენზიის მფლობელების შემოსავალმა იმავე წელს 11,3 მილიონი ლარი შეადგინა.[26] საბოლოო ჯამში, საქართველოს სატელევიზიო არხების ოფიციალურად გაცხადებული შემოსავლები 2008 წელს 92 მილიონ ლარზე მეტი იყო. ამ მონაცემებში არ შედის სატელიტით მაუწყებლობის ლიცენზიის მქონე კომპანიების შემოსავლები. თუ ჩავლთვლით, რომ 2008 წელს სატელევიზიო რეკლამებზე 35 მილიონი ამერიკული დოლარი (58 მილიონი ლარი)[27] დაიხარჯა, გამოდის, რომ საქართველოს ტელევიზიებმა სულ მცირე 34 მილიონი ლარი (20,2 ამერიკული დოლარი) სხვა, უცნობი წყაროებიდან მიიღეს.

საქართველოს ტელეარხების ნაწილი წაგებაზე მუშაობს. მაგალითად, „იმედის“ ხარჯი 2004-2006 წლებში მის შემოსავალს 19 მილიონით აღემატებოდა. ეს სხვაობა მისმა მფლობელმა, ბადრი პატარკაციშვილმა დაფარა.[28] IREX-ის მიერ საქართველოს მედიის შეფასებაში ნათქვამია, რომ „ახალი ამბების ინდუსტრია ისევ შემთხვევით ფინანსურ მხარდაჭერას ეყრდნობა პოლიტიკოსი მფარველებისგან და სხვა არაკომერციული წყაროებისგან“.[29] „ინტერნიუსის“ განვითარების დირექტორის თამუნა კაკულიას თქმით, „მხოლოდ საქართველოს სარეკლამო ბაზარზე დამოკიდებულება შეუძლებელს გახდიდა „რუსთავი 2“-ს ისეთი ხარისხით ემაუწყებლა, როგორითაც ის ახლა მაუწყებლობს“.[30]

<u>ტელე და რადიოკომპანიების შემოსავლები</u>

	2004	2005	2006	2007	2008
კერძო ტელეარხები	15 501 126	20 282 182	36 953 026	62 549 141	80 878 997
საკაბელო ტელემაუწყებლობა	8 570 838	9 087 730	9 924 091	10 253 378	11 365 578
რადიო	1 802 130	2 359 039	5 347 107	7 257 765	8 278 742

წყარო: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, 2008 წლის წლიური ანგარიში, გვ.34

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტელესადგურები ფინანსურ სირთულეებს მუდმივად განიცდიან, „რუსთავი 2“-ისა და „იმედის“ მფლობელები „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ რამდენჯერმე შეიცვალა და დიდი დავის საგანიც გახდა. ეს ფაქტი ნაწილობრივ იმის მაჩვენებელია,

[24] ინტერვიუ ნინო გოგოლაძესთან, TV MR GE-ს აღმასრულებელ დირექტორთან; 2009 წლის 29 სექტემბერი

[25] საქართველოს სატელევიზიო რეკლამების საერთო ღირებულება 2008 წელს 20-23,5 მილიონ ევროს შეადგენდა. იგივე რიცხვი მაკედონიაში (2 მილიონი მოსახლეობით) 180 მილიონი ევროა, ბელორუსიაში (მოსახლეობა 9,6 მილიონი) 238 მილიონი ევრო, ლატვიაში (2,2 მილიონი მოსახლეობით) 335 მილიონი ევრო, ლიტვაში კი (3,6 მილიონი მოსახლეობით) 331 მილიონი ევრო. http://www.ip-network.com/tvkeyfacts/

[26] საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია: 2008 წლის წლიური ანგარიში

[27] 2008 წლის 31 დეკემბრის გაცვლითი კურსით

[28] Civil.ge: სასამართლო დადგენილება „იმედში“ ფინანსური შემოწმების შესახებ, 2007 წლის 29 ნოემბერი, http://civil.ge/eng/article.php?id=16459

[29] IREX: „მედიის განვითარების ინდექსი“, 2009, წლიური ანგარიში საქართველოზე, http://www.irex.org/programs/msi_eur/2009/EE_MSI_09_cauc_Georgia.pdf.

[30] „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ინტერვიუ „ინტერნიუსის“ განვითარების დირექტორთან თამუნა კაკულიასთან

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

რომ იმ პირებს, რომლებიც სხვადასხვა დროს ამ არხებს აფინანსებდნენ და აკონტროლებდნენ, ჩადებული ინვესტიციებიდან სწრაფი მოგების მიღებაზე მეტად, სხვა ინტერესები ამოძრავებდათ.

ძნელი წარმოსადგენია, რომ 2009 წელს, 2008 წლის ზაფხულის ომის, პოლიტიკური დაძაბულობისა და გლობალური ეკონომიკური კრიზისის ფონზე, რამაც სარეკლამო ბაზარზე არასახარბიელო გავლენა იქონია, „რუსთავი 2-ისა და „იმედის" სარეკლამო შემოსავალი და მოგება გაზრდილიყო, მითუმეტეს, თუ ამ არხებზე გასულ ძვირადღირებულ ლიცენზირებულ პროგრამებსა და მათ ტექნიკას გავითვალისწინებთ.

ტელევიზიების მფლობელების გამჭვირვალობა

მაუწყებლობის შესახებ კანონის 37-ე მუხლის თანახმად, საქართველოში სამაუწყებლო ლიცენზიის მიღება შეუძლია ნებისმიერ ფიზიკური პირს, რომელიც საქართველოში ცხოვრობს და ნებისმიერ იურიდიულ პირს, რომელიც საქართველოშია რეგისტრირებული. გამონაკლისს წარმოადგენს: ადმინისტარციული ერთეულები, საჯარო მოხელეები, თანამდებობის პირები და ის იურიდიული პირები, რომლებიც პოლიტიკურ პარტიებთან და ადმინისტაციულ ერთეულებთან არიან კავშირში. ამის მიუხედავად, თავად მარეგულირებელი კომისიის მიერ მოწოდებულ მაუწყებელთა სიაში ერთ-ერთი ტელეარხი „ახმეტა TV 1" მთლიანად ახმეტის მუნიციპალიტეტის მფლობელობაშია. რამდენიმე სხვა რეგიონული ტელევიზიის თანამფლობელი ადგილობრივი ხელისუფლების თანამდებობის პირი ან მისი ოჯახის წევრია.

<u>ტელემაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელები საქართველოში</u>

ლიცენზიის მქონე ტელეარხები	იურიდიული მისამართი	ოფიციალური მფლობელები
აფხაზეთი TV	თბილისი	თარაზიშვილი ნიკოლოზ 100%
აისი	თბილისი	მგელაძე იოსებ 100%
ახმეტა TV-1	ახმეტა	ახმეტის რაიონის გამგეობა 100%
ალანია	თბილისი	თათოშვილი მამუკა 100%
ბორჯომი	ბორჯომი	ცუცქირიძე ტრისტან 20%, შპს. ილიონი 25%, კუპატაძე მარინა 20%, ჯაფარიძე მარიამ 10%, შპს. იბერია 25%
ტელეარხი 25	ბათუმი	სურმანიძე გიორგი 51%, მერკვილაძე მერაბ 25%, ვერსაძე მალხაზ 24%
დია	ხაშური	ლომიძე დავით 58.5%, ნოზაძე არჩილ 41.5%
დუშეთი TV	დუშეთი	ჩიხლაძე ეთერი 100%
ეგრისი	სენაკი	ჩიქობავა მერაბ 100%
ეკომი	ლაგოდეხი	პეტრუსოვი ევგენი 60%, კუკსინი სიმონ 40%
ევრიკა	თბილისი	შპს "Denial Union" 51%, ჩხარტიშვილი ოთარ 20%, ინჯია ილია 15%, კვესელავა მარინა 14%
გლობალ კონტაქტ კონსალტინგი	თბილისი	ივანიშვილი ალექსანდრე 54%, კაპანაძე დავით 5%, შველიძე დავით 5 %, რონზჰესი ალექსანდრ 26%,სვანიძე ოლღა 10%
გორდა	თელავი	მამუკელაშვილი გივი 676%, მამუკელაშვილი გიორგი 33%
გურია	ოზურგეთი	ვასილევა მარინა 100%
გურჯაანი	გურჯაანი	აბულაშვილი თამარ 100%
ტელეკომპანია I სტერეო	თბილისი	შპს. ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი 65%, ზილფიმიანი დავით 22%, კოპულეტი მარკო 10%, სევერინი ლუკა 3%

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

იმედი TV	თბილისი	Georgian Media Production Group 100%(RAAK ჯორჯია ჰოლდინგი 90%, ჯოზეფ ქეი 10%)
იმერვიზია	ჭიათურა	გამეზარდაშვილი რამაზ 77.4%, გაფრინდაშვილი თებრო 13.6%, მაჭავარიანი ომარ 9%.
იმპერია	ახალციხე	ნიქაბაძე ლევან 100%
ინფოკავშირი	ზესტაფონი	ლომთაძე ზურაბ 22.22%, ჯუღელი მარინა 11.11%, ბიწაძე ლერი 11.11%, მუმლაძე ლალი11.11%, ღავთაძე ლუიზა 11.11%, ვეფხვაძე ნუშა 11.11%, ევტუშენკო იგორ 11.11%, დადეშელი ჯემალ 11.11%
კავკასია	თბილისი	ჯანგირაშვილი ნინო 100%
კოლხეთი	ჩხოროწყუ	კაცია დოლია 60%, შამათავა რუსუდან 20%, ჩეჟია ბორის 10% რუხაია ზაირა 10%
კვინეტაძე და კომპანია	ზესტაფონი	ქლიბაძე ნინო, ფუტკარაძე დარეჯან, ევტუშენკო იგორ, ღავთაძე ლუიზა, სანთელაძე ნატო, კვინეტაძე ეჯგუჯა, დადეშელი ეთერ, გეწაძე ოთარ, გურული თემურ
მეგა TV	ხონი	კიკაბიძე მერაბ 100%
მეცხრე ტალღა	ფოთი	ჟვანია გელა 67%, თოდუა მამუკა 33%
მიუზიკ ბოქს ჯორჯია	თბილისი	ბლექსი გრუპი 100%
მზე	თბილისი	Degson Limited 55%, ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი 45%
ოდიში	ზუგდიდი	გრიგოლია ემა 70%, ქობალია ალექსანდრე 20%, კიმ კიმ 10%
ომეგა	მცხეთა	თეთრაძე ზეზვა 50%, ოქრუაშვილი მაია 50%
რეალტივი-საქართველო	თბილისი	პაიჭაძე ია 100%
რიონი	ქუთაისი	ღვნინიანიძე თამარ 100%
რუსთავი 2	თბილისი	Degson Limited 70%, ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი 30%
საქართველო	თბილისი	“Denial Union” 100%
სამეგრელო	ზუგდიდი	საწარმოთა მართვის სააგენტო 63.96%, ინფოვესტი 36.04%
შიდა ქართლი	რუსთავი	თამასიძე ლევან 50.87%, მგალობლიშვილი როლანდ 34.13%, ტყეშელაშვილი მერაბი 15 %
სპექტრი	ახალციხე	ნიქაბაძე ლევან 30%, მესხელი გიორგი 25%, ხუციშვილი ნინო 15%, ჩინგარაშვილი ზურაბ 10%, საგოიანი გევორქ 10%, მერაბიშვილი ივანე 10%
სტუდია მაესტრო	თბილისი	ებრალიძე გიორგი 38%, ღლონტი მამუკა 38%, ჩიკვაიძე ლევან 19%
თანამგზავრი	თელავი	გრიშიკაშვილი მარიეტა 40%, ქუმსიაშვილი ზურაბ 40%, ახალმოსულიშვილი ვლადიმერ 20%
თბილისი	თბილისი	ჩიგოგიძე ზურაბ 40%, ჩიგოგიძე ვასილ 30%, თავაძე ალექსანდრე 30%
თრიალეთი	ქარელი	ნანეტაშვილი ჯონდი 50%, ნანეტაშვილი ბადრი 50%
TV ERA	ბათუმი	მეტრეველი მერაბ 50%, გოგიბერიძე სულხან 50%
		ბოლნისის რაიონის გამგეობა 50%,

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

TV-5	ბოლნისი	ჭიჭინაძე ელისო 50%
თვალი	საგარეჯო	ქურდოვანიძე თამარ 50%, არჩუაძე ოთარ 25%, ცერაძე ნანა 25%
ახალგაზრდული ცენტრი „ჯიხა“	წალენჯიხა	კვარაცხელია კახაბერ 100%
ზარი	სამტრედია	თევზაძე ოთარ 50%, თელია მარინა 20%, თევზაძე გოჩა 15 %, თევზაძე გია 15 %

წყარო: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია. ინფორმაცია მოწოდებულია 2009 წლის 23 ოქტომბერს. ცხრილში არ შედის აჭარის ტელევიზია, რომელიც აჭარის ადმინისტრაციის მფლობელობაშია, ასევე, საზოგადოებრივი მაუწყებლის I და II არხები, რომლებზეც ლიცენზიის რეჟიმი არ ვრცელდება.

იურიდიულმა პირმა, რომელსაც სამაუწყებლო ლიცენზიის მიღება სურს, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას უნდა წარუდგინოს ინფორმაცია ყველა იმ მეწილეზე, რომელიც მისი აქციების 5%-ზე მეტს ფლობს. კომუნიკაციების კომისიის ვალდებულებებში არ შედის დაადგინოს, ვინ არიან სატელევიზიო სადგურების რეალური მფლობელები, ან გამოიკვლიოს ვინ დგანან იურიდიული პირების უკან. „ძალიან მნიშვნელოვანია იცოდე ნებისმიერი მედია საშუალების მფლობელი,“ ამბობს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის ფაკულტეტის დეკანი მაია მიქაშავიძე, „შეიძლება, სარედაქციო პოლიტიკის მიკერძოებულობა მისაღებადაც მიიჩნიო, მაგრამ უნდა იცოდე, ვის სასარგებლოდაა ეს პოლიტიკა მიკერძოებული, ვინ განსაზღვრავს მას“.[31]

მართალია, საქართველოს კანონმდებლობით ლიცენზიის მიმღები პირი საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი უნდა იყოს, თუმცა, კანონმდებლობა არ კრძალავს მედია საშუალებების წილების უცხო ქვეყნების მოქალაქეებისა და საზღვარგარეთ რეგისტრირებული კომპანიების მიერ ფლობას. ეროვნული არხების მფლობელებმა ეს ლიბერალური მიდგომა გამოიყენეს და ამჟამად საქართველოს ყველაზე გავლენიანი არხის „რუსთავი 2“-ისა და „მზის“ ერთ-ერთი მფლობელი ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული[32] ოფშორული კომპანია Degson Limited-ია.[33] მეორე მისტიური ორგანიზაცია Denal Union ტელეკომპანია „საქართველოს“ (თავდაცვის სამინისტროსთან ასოცირებული არხის[34]) 100%-ს და ტელეკომპანია „ევრიკის“ 51%-ს ფლობს. ასევე ბუნდოვანია Rakeen-ის და მისი შვილობილი კომპანიის Rakeen Georgia Holding-ის სამართლებრივი სტრუქტურა, რომლის გარშემოც არსებობს ეჭვები, რომ მისი რეალური მფლობელები ქართველები არიან. Rakeen Georgia Holding ტელეკომპანია „იმედის“ 90%-ს ფლობს.[35]

საქართველოში ტელეკომპანიების ნამდვილი მფლობელების შენიღბვის კიდევ ერთი ცნობილი ხერხი ე.წ. „შუაკაცის“ შექმნაა. მაგალითისთვის, ყველასთვის ცნობილი იყო, რომ „იმედს“ ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი აფინანსებდა, თუმცა, არხის ოფიციალური მეწილეები მისი მეგობარი გოგი ჯაოშვილი და Rupert Murdoch’s News Corp. იყვნენ.[36]

[31] “საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ინტერვიუ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის ფაკულტეტის დეკანთან მაია მიქაშავიძესთან, 2009 წლის 28 სექტემბერი

[32] Civil.ge: „რუსთავი 2“-ის აქციების 70%-ის მფლობელი ოფშორული ფირმაა“, 2009 წლის 16 ივნისი, http://www.civil.ge/geo/article.php?id=21381&search=

[33] ვირჯინიის კუნძულების ადმინისტრაციამ არ უპასუხა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ თხოვნას და არ მოგვაწოდა ინფორმაცია იქ რეგისტრირებული კომპანიების შესახებ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ თხოვნით მიმართა საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისიასაც, რათა მიეღო საქართველოს ტელეარხების მფლობელი ყველა მეწილის ზუსტი იურიდიული მისამართები. ორგანიზაციის ეს თხოვნა არ დაკმაყოფილდა. შესაძლოა, ეს ინფორმაცია თავად საქართველოს ეროვნული კომუნიკაციები კომისიასაც არა აქვს

[34] თავდაცვის სამინისტრო ტელეკომპანია „საქართველოს“ თავის ვებგვერდზე რეკლამას უკეთებს. „საქართველო“ აცხადებს, რომ კერძო, დამოუკიდებელი კომპანიაა, მაგრამ ამავდროულად ადასტურებს, რომ დაარსების დღიდან (2007 წელი) თანამშრომლობს თავდაცვის სამინისტროსთან http://www.tvsakartvelo.ge/?action=page&page=4&lang=eng

[35] RAAK Georgia Holding S.A. არის Rakeen Development PJSC (Rakeen) შვილობილი კომპანია, რომლის მფლობელიც Reyada Investment Limited-ია

[36] The New York Times: „საინფორმაციო გადაცემების კორპორაციები პოსტსაბჭოთა პოლიტიკურ სივრცეში“, 2008 წლის 3 აპრილი, http://www.nytimes.com/2008/04/03/business/worldbusiness/03tele.html

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

იმის გამო, რომ საკანონმდებლო რეგულირების ნაკლოვანების შედეგად წამყვანი ტელევიზიების მფლობელების რეალური ვინაობა უცნობია, ამ თემაზე საზოგადოებაში ბევრი მითქმა-მოთქმა და ეჭვია. სატელევიზიო არხებთან ხშირად აკავშირებენ მმართველი პარტიის სხვადასხვა წარმომადგენლებს, სხვადასხვა სამინისტროებს და ასევე, ოპოზიციური პარტიების ლიდერებს. „არსებული ვითარება ბევრ ჭორს ბადებს და ეს ყველაზე ცუდია. შეიძლება, არც ერთი ეს ჭორი მართალი არ არის, მაგრამ დღევანდელი მდგომარეობა უარყოფითად მოქმედებს ტელევიზიების მიმართ საზოგადოების ნდობაზე," აღნიშნა მაია მიქაშავიძემ.[37] IREX-ის საქართველოს ტელესივრცის კვლევაში ნათქვამია, რომ „მედიის მფლობელობაში გამჭვირვალობისა და მრავალფეროვნების ნაკლებობა თავისუფალი მედიის განვითარებას ართულებს."[38]

ქაღალდზე საქართველოს მედია კანონმდებლობა ევროპულ სტანდარტებთან მეტწილად შესაბამისობაშია. ცილისწამება სისხლის სამართლის დანაშაულად არ ითვლება და ინფორმაციის თავისუფლება კონსტიტუციითაა გარანტირებული. საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის თანახმად, „ყველას აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს საკუთარი აზრები ზეპირად, წერილობითი ფორმით ან სხვაგვარი საშუალებებით. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები უნდა იყოს თავისუფალი".[39] პრობლემას წარმოადენს კანონმდებლობის იმპლემენტაცია. „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენლის თამარ კორძაიას შეფასებით, თვითონ კანონი ცუდი არ არის, მაგრამ ის მხოლოდ ფორმალობად რჩება და მისი გატარება, საზოგადოების ინტერესების გთვალისწინებით, არ ხდება.[40] რადიო „თავისუფლების" ჟურნალისტის, ია ანთაძის აზრით, – „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, რომელიც დამოუკიდებელი უნდა იყოს თავის გადაწყვეტილებებში, სინამდვილეში პოლიტიკურად მოტივირებულია. ხელისუფლება კომისიის საშუალებით აფართოებს საკუთარ ზეგავლენას".[41]

საქართველოს მედიასივრცეში არსებული მნიშვნელოვანი პრობლემების მედიამფლობელების არასაკმარისი გამჭვირვალობის და მარეგულირებელი კომისიის არასაკმარისი დამოუკიდებლობის გადაჭრის სტანდარტული რეცეპტი არ არსებობს. ევროკავშირში მედიაკონცენტრაციის წინააღმეგ ბრძოლის და მედიის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის 27 სხვადასხვა სახის მარეგულირებელი სისტემაა. ევროკავშირის ქვეყნების უმრავლესობაში უცხო ქვეყნების (არა-ევროკავშირის წევრ) მოქალაქეებს ტელევიზიების ფლობა არ ეკრძალებათ, საფრანგეთსა და პოლონეთში ასეთი აკრძალვა არსებობს.[42]

მედიაკონცენტრაცია: „რუსთავი 2" და ქართული ინდუსტიული ჯგუფი

საქართველოს მაუწყებლობის კანონის მე-60 მუხლის თანახმად, „ფიზიკური თუ იურიდიული პირი შეიძლება დამოუკიდებლად ფლობდეს ან თანამფლობელობაში ჰქონდეს მხოლოდ ერთი სამაუწყებლო ლიცენზია ტელევიზიისთვის და ერთი რადიომაუწყებლობისთვის".[43] ეს მუხლი ხელს არ უშლის ფიზიკურ და იურუდიულ პირებს, სამაუწყებლო ლიცენზიების მქონე რამდენიმე კომპანიაში

[37] „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" ინტერვიუ მაია საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის, ჟურნალიზმის კავკასიური სკოლის დეკანთან მაია მიქაშავიძესთან, 28 სექტემბერი, 2009

[38] IREX: „მედიის განვითარების ინდექსი", 2009, წლიური ანგარიში საქართველოზე http://www.irex.org/programs/msi_eur/2009/EE_MSI_09_cauc_Georgia.pdf

[39] http://www.parliament.ge/files/68_1944_951190_CONSTIT_27_12.06.pdf.

[40] „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" ინტერვიუ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" იურისტთან თამარ კორძაიასთან, 2009 წლის 5 ოქტომბერი

[41] „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" ინტერვიუ რადიო „თავისუფალი ევროპა/რადიო თავისუფლების" ჟურნალისტთან და არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო ინსტიტუტის" ხელმძღვანელთან ია ანთაძესთან

[42] ევროპული მედიაკანონმდებლობის ანალიზი შეგიძლიათ იხილოთ „ევროპული მედიის ინსტიტუტის" 2004 წლის პუბლიკაციაში: საბოლოო ანგარიში „ინფორმაცია ევროკავშირის მოქალაქეებისთვის: მედიის ვალდებულებები და ინსტიტუციები მოქალაქეების სრულფასოვანი და ობიექტური ინფორმაციით უზრუნველყოფის კუთხით", გვ. 224 228; http://www.epra.org/content/english/press/papers/European%20Citizen%20Information%20Project%20Final%20REPORT.pdf

[43] საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ, მუხლი 60

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

ერთდროულად ფლობდეს წილებს.[44] საქართველოს კანონმდებლობა არ არეგულირებს, მედია სივრცის რა საბაზრო წილი შეიძლება იყოს ერთი ფიზიკური ან იურიდიული პირის კონტროლქვეშ. შესაბამისად, „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი" „რუსთავი 2-ის" აქციების 30%-ს, „მზის" 45%-ს და „პირველი სტერეოს" 65%-ს ფლობს. პირველი ორი ტელეარხის შემთხვევაში აქციების მეტი წილის მფლობელი ოფშორული კომპანია Degson Limited-ია. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი" დამატებით ფლობს „საქართველოს ბიზნეს-კონსალტინგს", რომელიც ინგლისურ გაზეთს "Georgian Business Week"-ს უშვებს და სააგენტო GBC.ge-ს. ამ კომპანიის დამფუძნებელი დავით ბეჟუაშვილი მმართველი პარტიის წევრი და საქართველოს პარლამენტის დეპუტატი და საქართველოს უშიშროების საბჭოს თავჯდომარის და ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის გელა ბეჟუაშვილის ძმაა.[45]

„საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის" შვილობილი კომპანია Georgian Media Incorporated – ამჟამად „იმედის" აქციების მფლობელიც არის, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯგუფი მედია ბაზრის ორ მესამედს ფლობს და აკონტროლებს.[46]

აშკარაა, რომ რეგულირების არსებული ნორმები მედიაკონცენტრაციას ხელს არ უშლის.

„იმედი"

„იმედის" ტელევიზია და რადიო „იმედი" „საქართველოს მედია ჰოლდინგში" შემავალი კომპანიებია. ამ ჰოლდინგის დღევანდელი ხელმძღვანელი გიორგი არველაძე პრეზიდენტ სააკაშვილის „დიდი ხნის მოკავშირე",[47] პარლამენტის ყოფილი წევრი, მმართველი პარტიის ყოფილი გენერალური მდივანი, ეკონომიკის ყოფილი მინისტრი და პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილი უფროსია.

ხელისუფლება 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევამდე „იმედს" ხშირად აკრიტიკებდა. 7 ნოემბრის ცნობილი მოვლენების შემდეგ, პოლიციის ძალის გამოყენებით, ეს არხი დაიხურა.[48] მაუწყებლობა მან 2008 წლის მაისში აღადგინა, თუმცა მხოლოდ ნაწილობრივ. საინფორმაციო გადაცემები იმავე წლის სექტემბერში განახლდა.

2008 წლის თებერვალში „იმედის" დამფუძნებელი, ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი ლონდონში, გულის შეტევით, მოულოდნელად გარდაიცვალა. ამის შემდეგ მისმა ახლო მეგობარმა და ოფიციალურად „იმედის" აქციების 51%-ის მფლობელმა (დანარჩენ 49%-ს Rupert Murdoch's News Corp. ფლობდა)[49], გოგი ჯაოშვილმა ეს წილი დათმო და „იმედზე" კონტროლი იოსებ კაკიაშვილმა (ცნობილია, როგორც ჯოზეფ ქეი) მოიპოვა.[50] მოგვიანებით ჯაოშვილმა თქვა, რომ „იმედის" აქციების დათმობა მას ხელისუფლებამ აიძულა. ჯოზეფ ქეი პატარკაციშვილის დეიდის შვილობილი, ამერიკის მოქალაქეობის მქონე ქართველი ბიზნესმენია. მან სადაო ანდერძის წარმოდგენით (ანდერძის პირობებით პატარკაციშვილი ჯოზეფ ქეის მისი ქონების განკარგვის უფლებამოსილებას

---

[44] „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" ინტერვიუ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" იურისტთან თამარ კორძაიასთან, 2009 წლის 5 ოქტომბერი

[45] Civil.ge: „რუსთავი 2"-ის აქციების 70%-ის მფლობელი ოფშორული ფირმაა, 2009 წლის 16 ივნისი http://www.civil.ge/geo/article.php?id=21381&search= საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის სხვა ბიზნესებია ენერგეტიკის წარმოება და დისტრიბუცია, ლოჯისტიკა და ტვირთის ტრანსპორტირება, უძრავი ქონების განვითარება და მენეჯმენტი თბილისში, მინის და საამშენებლო მასალების წარმოება http://www.gig.ge.

[46] მოლი კორსო, საქართველო: „შესაძლო შერწყმა პრესის თავისუფლების შეზღუდვის საფრთხეს ამძაფრებს, http://www.eurasianet.org/departments/insight/articles/eav071608.shtml

[47] Twitter-ის პროფილი: http://twitter.com/arvegio (2009 წლის 21 ოქტომბრის მდგომარეობით)

[48] უფრო დეტალური აღწერა შეგიძლიათ იხილოთ: Human Rights Watch (2007) Crossing the Line. Georgia's Violent Dispersal of Protestors and Raid on Imedi Television, http://www.hrw.org/en/reports/2007/12/19/crossing-line

[49] The New York Times: საინფორმაციო გადაცემების კორპორაციები პოსტსაბჭოთა პოლიტიკურ სივრცეში, 2008 წლის 3 აპრილი http://www.nytimes.com/2008/04/03/business/worldbusiness/03tele.html

[50] Civil.ge: ტელეკომპანია „იმედის" ყოფილი ოფიციალური მფლობელი ზეწოლაზე საუბრობს, 2008 წლის 10 დეკემბერი http://www.civil.ge/geo/article.php?id=20188&search=

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

ანიჭებდა) ხელში არა მხოლოდ „იმედი“, არამედ პატარკაციშვილის სხვა ქონებაც ჩაიგდო. მას შემდეგ, რაც „იმედი“ ქეის მფლობელობაში გადავიდა, საქართველოს მთავრობამ არხს ყადაღა ახსნა და ქეის მიეცა საშუალება, აღედგინა მაუწყებლობა. ნიუ-იორკის სასამართლომ არ სცნო ქეის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, კერძოდ, თბილისის სასამართლოს მიერ 2008 წლის მაისში გამოტანილი განაჩენი, რომლის საფუძველზეც ბადრი პატარკაციშვილის ქვრივს ინნა გუდავაძესა და მის ქალიშვილს ლიანა ჟმოტოვას გარდაცვლილის ქონების განკარგვა აეკრძალათ და ეს უფლება ჯოზეფ ქეის გადაეცა.[51] თბილისის სასამართლომ კი ქეის უფლება მისცა, საქართველოში პატარკაციშვილის ქონება განეკარგა.[52] სამართლებრივი დავები ამ საკითხის გარშემო მსოფლიოს სხვადასხვა სასამართლოებში ახლაც გრძელდება.[53]

2009 წლის თებერვალში ქეიმ „იმედის“ აქციების 90% უცნობ თანხად „RAAK საქართველოს“ ჰოლდინგს მიჰყიდა. ამ გარიგებას პატარკაციშვილის ოჯახი ახლაც ბათილად მიიჩნევს და თვლის, რომ ქეი „იმედის“ უკანონო მფლობელი იყო.[54] ამჟამად ქეი „იმედის“ აქციების 10%-ს განკარგავს.

რთული პროფესიული გარემო ჟურნალისტებისთვის

საქართველოს შრომითი კანონმდებლობა ჟურნალისტების განსაკუთრებული დაცვის ნორმებს არ შეიცავს და დამსაქმებლისთვის მათი სამუშაოდან დათხოვნა სირთულეს არ წარმოადგენს.[55] ამის გამო და არსებული მედიაკონცენტრაციის გათვალისწინებით ძირითად ტელეარხებისე ჟურნალისტებს საკმაოდ სერიოზული ეკონომიკური წნეხის ქვეშ უწევთ მუშაობა. თუ მათ სამუშაოდან გამოუშვებენ ან თავიანთი ნებით დატოვებენ სამსახურს, შესაძლოა, საკმაოდ დიდი ხნით დარჩნენ უმუშევრები. რეგიონულ სატელევიზიო სადგურებსა და გაზეთებს არა აქვთ შესაძლებლობა, კონკურენცია გაუწიონ წამყვან არხებს და ჟურნალისტებს ისეთივე ან იმასთან დაახლოებული ხელფასები შესთავაზონ, რასაც ისინი ნაციონალურ არხებზე იღებენ. ტელეკომპანია „მაესტროს“ თანამფლობელის, მამუკა ღლონტის თქმით, მისი არხი თანამშრომლებს ხელფასებს სამი თვის დაგვიანებით უხდის, თანამშრომელთა ნახევარი კი (სულ „მაესტროს“ 15 ჟურნალისტი ჰყავს) სტაჟიორები არიან.[56]

რამდენიმე ჟურნალისტმა და პროდიუსერმა, რომლებიც წამყვანი არხებიდან პოლიტიკური შეხედულებებისა და სარედაქციო პოლიტიკის გამო წამოვიდნენ, სამი დამოუკიდებელი სტუდია დაარსეს, ესენია: „სტუდია რეპორტიორი“, „სტუდია მონიტორი“ და GNS. ეს სტუდიები მთლიანად დასავლელი დონორების მიერ ფინანსდება. ისინი საგამომძიებლო დოკუმენტურ ფილმებსა და სატელევიზიო სიუჟეტებს ამზადებენ და გადაღებულ მასალას უსასყიდლოდ აძლევენ ტელეარხებს. ეროვნული არხები ამ ფილმებსა და სიუჟეტებს არ უშვებენ და შედეგად, მათი ნახვა მხოლოდ „კავკასიასა” და „მაესტროზე“ არის შესაძლებელი.[57]

ნაციონალური არხების საინფორმაციო კარტელების გავლენის შემცირებისა და პლურალისტური მედიასივრცის შექმნის ერთ-ერთი ინსტრუმენტი შეიძლება ინტერნეტმაუწყებლობის განვითარება იყოს, თუმცა, ჯერჯერობით, დამოუკიდებელი სტუდიების მსგავსად, მომგებიანი ბიზნესმოდელის

---

[51] შეერთებული შტატების პირველი ინსტანციის სასამართლო, ნიუ-იორკი: ინნა გუდავაძე ჯოზეფ ქეის წინააღმდეგ, No.08 Civ.3363 (RJS), 2008 წლის 30 მაისი

[52] Civil.ge: „პატარკაციშვილის ოჯახი თბილისის სასამართლოს გადაწყვეტილებას გმობს“, 2008 წლის 29 მაისი; http://civil.ge/geo/article.php?id=18434&search=

[53] პატარკაციშვილის მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დავების გარშემო უფრო ამომწურავი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ სუზანა ენდრიუსის სტატიაში, რომელიც 2009 წლის ოქტომბერში გამოყვეყნდა “Vanity Fair”-ში: „ქვრივი და ოლიგარქები“, http://www.vanityfair.com/politics/features/2009/10/oligarchs200910.

[54] Civil.ge: „ქეიმ „იმედი“ არაბულ კომპანიას მიჰყიდა“, 2009 წლის თებერვალი, http://www.civil.ge/geo/article.php?id=20602&search=

[55] „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს” ინტერვიუ რადიო „თავისუფალი ევროპა/რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტთან და არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო ინსტიტუტის” ხელმძღვანელთან ია ანთაძესთან

[56] „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს” ინტერვიუ ტელეკომპანია „მაესტროს“ თანამფლობელთან და ხელმძღვანელთან მამუკა ღლონტთან, 2009 წლის 5 ოქტომბერი.

[57] სიუჟეტები ასევე ხელმისაწვდომია ონლაინ რეჟიმში http://www.ijp.ge/

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

შექმნა ონლაინ მედია პროექტებსაც უჭირთ და შესაბამისად, ისინი ჟურნალისტებს კონკურენტულ ანაზღაურებას ვერ სთავაზობენ. სწორედ ამიტომ არის, რომ იმ ჟურნალისტებისა და პროდიუსერების რაოდენობა, ვინც შემოსავლის წყაროს დაკარგვის რისკზე წავიდა და მიკერძოებულ სარედაქციო პოლიტიკას არ დაემორჩილა, არც თუ ისე დიდია.

ამ მხრივ ერთ-ერთი გამონაკლისი 2009 წლის მაისში „იმედის" ჟურნალისეტების, პროდიუსერების, ოპერატორებისა და სხვა თანამშრომლების (სულ 64 ადამიანი) პროტესტი იყო. მათ ხელი მოაწერეს პეტიციას, რომლითაც არხის რედაქციული პოლიტიკა გააკრიტიკეს. პეტიციაში ნათქვამი იყო, რომ „იმედი" ახალ ამბებს არაადეკვატურად და მიკერძოებულად აშუქებდა და რომ ხელმძღვანელობა ჟურნალისტებს სიუჟეტებში იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემების ასახვას უკრძალავდა. ჟურნალისტებს მიღებული ჰქონდათ ინსტრუქცია, რომ იძულებით გადაადგილებულ პირები „დაზარალებულად", ხოლო გაზაფხულის საპროტესტო აქციების დროს ოპოზიციის მიერ დადგმული საკნები „გალიებად" მოეხსენებინათ.[58] მიტინგების შესახებ სიუჟეტების გაკეთებისას ოპერატორებს ეკრძალებოდათ ისეთი კადრების ჩვენება, სადაც თავშეყრილი ხალხის დიდი რაოდენობა ჩანდა. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით ეთერში არ გავიდა პატრიარქის მიმართვის ის ნაწილი, რომელშიც ის ჯარს მოუწოდებდა, მომიტინგეთა წინააღდეგ ძალა არ გამოეყენებინა.[59] პეტიციის ერთ-ერთმა ხელმომწერმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოსთან" საუბარში ასევე აღნიშნა, რომ არხზე არსებობდა იმ ექსპერტების სია, რომელთაგანაც ინტერვიუების აღება დასაშვები იყო და იმ ექსპერტების „შავი სია", რომელთა კომენტარებიც ეთერში არ უნდა გასულიყო. იგივე წყარომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" უთხრა, რომ „იმედის" ხელმძღვანელობა ხელმომწერებზე ზეწოლას ახდენდა და მათ ხელმოწერებზე უარის თქმას აიძულებდა. პეტიციის მომზადების ორი ინიციატორი, საბოტაჟის ბრალდებით, სამსახურიდან გაათავისუფლეს[60], ოთხმა ჟურნალისტმა და პროდიუსერმა არხი საკუთარი სურვილით დატოვა, დანარჩენებმა ხელმოწერები უკან გაიტანეს.

პოლიტიკიდან მედია მმართველობამდე

რამდენიმე წელია პოლიტიკასა და წამყვან ტელეარხებს შორის საქართველოში ე.წ. „ღია კარის" პრინციპი მოქმედებს: 2009 წლის 17 მარტს „იმედის" საინფომაციო სამსახურის უფროსად დანიშვნამდე ნანა ინწკირველი თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი იყო.[61] საერთაშორისო ორგანიზაციამ „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე" ეს დანიშვნა „სტრატეგიულ შეცდომად" შეაფასა და დასძინა, რომ ეს ხელისუფლების მხრიდან „იმედის" გაკონტროლების მცდელობის კიდევ ერთ დამადასტურებელ ფაქტად აღიქმებოდა[62]. 2009 წლის ივლისში ჟურნალისტი ირმა ნადირაშვილი, რომელმაც „რუსთავი 2"-ზე 14 წელი იმუშავა, 2007-2008 წლებში შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საზოგადოებისა და მედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი იყო[63], მოგვიანებით კი „რუსთავი 2"-ის საინფორმაციო სამახურის უფროსად დაინიშნა.[64] ჯერ კიდევ 2008 წლის ბოლოს საქართველოს მაშინდელი სახალხო დამცველი სოზარ სუბარი მთავრობას მედიის

[58] Media.ge: `ტელეკომპანია „იმედის" ჟურნალისტები და ოპერატორები პროფესიულ თავისუფლებას ითხოვენ", 2009 წლის 5 მაისი http://www.media.ge/ka/node/25363

[59] Civil.ge: „იმედის" ჟურნალისტემბა ხელმძღვანელობას საპროტესტო განცხადებით მიმართეს", 2009 წლის 6 მაისი http://www.civil.ge/geo/article.php?id=21045&search=

[60] Media.ge: „ტელეკომპანია „იმედი" პროტესტის ნიშნად კიდევ ერთმა ჟურნალისტმა დატოვა", 2009 წლის 13 მაისი http://www.media.ge/ka/node/25394

[61] Civil Georgia: „იმედის" საინფორმაციო სამსახურს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს", 2009 წლის 18 მარტი http://www.civil.ge/geo/article.php?id=20719&search=

[62] „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე": „საინფორმაციო სამსახურის ახალი ხელმძღვანელის დანიშვნა „იმედში" სიტუაციას ართულებს", 2009 წლის 19 მარტი http://www.rsf.org/Appointment-of-new-head-of-news.html

[63] „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ" ეს ინფორმაცია სამინისტროში გადაამოწმა.

[64] Media.ge: „ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ში საკადრო ცვლილებებია", 2009 წლის 15 ივლისი, http://www.media.ge/ka/node/25612

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

თავისუფლების ჩახშობასა და ეროვნული მაუწყებლების დიტრექტორებად მისთვის მისაღები პირების დანიშვნაში ადანაშაულებდა[65].

სარედაქციო პოლიტიკის დამოუკიდებლობის პრობლემას ჟურნალისტების მნიშვნელოვანი ნაწილის პროფესიონალიზმის დაბალი დონეც ამძიმებს. ბევრი მათგანი, სამუშაოს შესანარჩუნებლად, ე.წ. თვითცენზურას მიმართავს. არასაკმარისი მომზადების გამო ახალგაზრდა ჟურნალისტებს აკლიათ იმის ცოდნა და თვითდაჯერება, რომ ხარისხიანი სიუჟეტები მოამზადონ.

„მხოლოდ უმაღლესი განათლების დასრულების შემდეგ იგებ პრაქტიკულად როგორ უნდა იმუშაო, როგორც ჟურნალისტმა," ამბობს „რუსთავი 2"-ის საინფორმაციო სამსახურის ყოფილი დირექტორი თამარ რუხაძე, „მაგრამ, როცა ქართულ ტელევიზიაში იწყებ მუშაობას, ერთადერთი, რასაც პროდიუსერი გეუბნება ის არის, თუ რა უნდა თქვა, რომელი ინტერვიუ გამოიყენო და რომელი არა. შენ სწავლობ დავალების შესრულებას და არა რეალურ ჟურნალისტიკას".[66]

პროფესიონალიზმის ნაკლებობა და ის ეკონომიკური წნეხი, რასაც არა ერთი ჟურნალისტი განიცდის, პროფესიული ჟურნალისტური გაერთიანებების შექმნასაც უშლის ხელს. როცა რომელიმე ჟურნალისტს პრობლემები ექმნება, მის კოლეგებს შორის სოლიდარობის ხარისხი საკმაოდ დაბალია. თამარ რუხაძე ფიქრობს, რომ ასეთ დროს „მარტო დარჩები. შეიძლება რამდენიმე ჟურნალისტმა, ვისაც სამსახურის დაკარგვის არ ეშინია, მოახერხოს მხარდაჭერა". „ღია საზოგადოება საქართველოს" წარმომადგენლის, ხატია ჯინჯიხაძის აზრით, „მედია უნდა ახერხებდეს, დაიცვას საკუთარი თავი. მან ამ მხრივ ლიდერობაც კი უნდა იკისროს. ეს არის ის, რაც ქართულ მედიას ყველაზე მეტად აკლია პროფესიული სოლიდარობა".[67] იგივე პოზიციას იზიარებს „ინტერნიუსის" წარმომადგენელი თამარ კაკულია. „ჟურნალისტებს არ ესმით, რომ დადებითი ცვლილების მისაღწევად ძალისხმევა უნდა გააერთიანონ. სხვა შემთხვევაში აჯანყებული, წლების განმავლობაში სამუშაოს გარეშე დარჩენილი და ეროვნული და რეგიონული მაუწყებლებისგან გარიყული ჟურნალისტი იქნები".[68]

თბილისელ კოლეგებთან შედარებით რეგიონული ჟურნალისტები ერთმანეთის მიმართ უფრო სოლიდარულები არიან. როცა ბათუმის „25-ე არხს" საგადასახადო ინსპექციასთან პრობლემები შეექმნა და 2009 წლის ოქტომბერში დახურვა ემუქრებოდა, რეგიონულმა ჟურნალისტებმა საპროტესტო აქცია გამართეს და ბათუმის დამოუკიდებელ ტელეარხს გვერდით დაუდგნენ.

პროფესიული ასოციაციებისა და სრულფასოვანი მედია მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანიზაციების არარსებობის გამო ქართულ მედია სფეროში ნებაყოფლობითი, ეფექტიანი თვითრეგულირების სისტემა ჯერჯერობით არ არსებობს. 2009 წლის მარტში კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ დაამტკიცა მაუწყებლობის ლიცენზიის მქონე პირების ქცევის კოდექსი[69], სადაც მედია საქმიანობის მთავარი პრინციპები, წესები და პროფესიული სტანდარტებია განსაზღვრული. ეს კოდექსი რეგულირების სავალდებულო სისტემას აწესებს და ეროვნულ მაუწყებლებს ავალდებულებს, 2009 წლის 12 სექტემბრამდე თვითრეგულირების ინდივიდუალური მექანიზმები შეიმუშაონ. რეგიონულ და ადგილობრივ ტელესადგურებს მსგავსი მექანიზმების შექმნისთვის კიდევ ერთი წელი აქვთ მიცემული. აღსანიშნავია, რომ მარეგულირებელი კომისიის იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი მიღებულ ქცევის კოდექსს არაკონსტიტუციურად მიიჩნევს, რადგან ის მომხმარებელს საჩივრის პირდაპირ სასამართლოში მიტანას უკრძალავს და ავალდებულებს, რომ ეს საჩივარი თავდაპირველად მაუწყებელში წარადგინოს.[70]

---

[65] The New York Times: News Media Feel Limits to Georgia's Democracy, ოქტომბერი 7, 2008

[66] „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" ინტერვიუ სტუდია GNS-ის თანადამფუძნებელთან თამარ რუხაძესთან, 2009 წლის 5 ოქტომბერი

[67] „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" ინტერვიუ ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" მედიის მხარდაჭერის პროგრამის მენეჯერთან ხატია ჯინჯიხაძესთან

[68] „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" ინტერვიუ „ინტერნიუსის" განვითარების დირექტორთან თამუნა კაკულიასთან, 2009 წლის 30 სექტემბერი

[69] საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უკვე მიიღო საკუთარი ქცევის კოდექსი

[70] „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" ინტერვიუ საქართველოს კომუნიკაციების კომისიის იურიდიული დეპარტამეტის ხელმძღვანელთან კახი ყურაშვილთან, 2009 წლის 13 ოქტომბერი

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

პატარა არხები დიდი პრობლემების წინაშე

მიუხედავად იმისა, რომ მცირე ტელევიზიებს „კავკასია“ და „მაესტროს“ ბაზარზე გარკვეული ადგილი უკავიათ, მათთვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს რეკლამის მოზიდვა. საქართველოს მედია ბაზრის რამდენიმე მკვლევარმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოსთან“ საუბარში აღნიშნა, რომ იმის გამო, რომ ეს არხები „ოპოზიციურად“ აღიქმება, ბიზნესმენები, ხელისუფლებასთან პრობლემების გაჩენის შიშით, მათთან რეკლამის მიტანას ერიდებიან. „მაესტროს“ წარმომადგენლის მამუკა ღლონტის თქმით, რამდენიმე კომპანიამ მიიღო გაფრთხილება, რომ „მაესტროზე“ გაშვებული რეკლამა ხელისუფლებასთან მათ ურთიერთობას ავნებდა, რის შემდეგაც მათ უკვე შეკვეთილი რეკლამები უკან გაიტანეს.[71] მსგავსი ბრალდება აქვს „კავკასიის“ დირექტორსაც. მან განაცხადა, რომ საგადასახადო ინსპექცია შერჩევით ინტერესდება იმ კომპანიებით, რომლებსაც რეკლამა „კავკასიაზე“ მიაქვთ.[72]

2009 წლის ივლისში „მაესტრომ“ კომუნიკაციების კომისიიდან მთელი საქართველოს ტერიტორიაზე სატელიტით მაუწყებლობის ლიცენზია მიიღო, თუმცა, მას იმის ფინანსური რესურსი არა აქვს, რომ ყოველთვიური გადასახადი 18,000 აშშ დოლარი გადაიხადოს. პრეზიდენტმა სააკაშვილმა 2009 წლის სექტემბერში გაეროს ასამბლეაზე გამოსვლისას „მაესტროს“ მაგალითი მოიტანა და თქვა, „ჩვენ უკვე მივეცით ლიცენზიები ოპოზიციის მიერ კონტროლირებად ტელეარხებს, რათა მათ მთელი ქვეყნის მასშტაბით იმაუწყებლონ“.[73] მამუკა ღლონტის თქმით, იმ დროს, როცა პრეზიდენტი ნიუ-იორკში ამ სიტყვით გამოდიოდა, საქართველოში საკაბელო კომპანიებზე ხორციელდებოდა პოლიტიკური ზეწოლა, რათა მათ „მაესტროს“ გაშვებაზე უარი ეთქვათ. შედეგად, „მაესტროს“ სიგნალი ახმეტისა და რუსთავის საკაბელო არხებით ახლაც არ გადაიცემა.[74]

ამასობაში პრობლემები შეექმნა აჭარის 25-ე არხსაც. 2009 წლის 9 ოქტომბერს ბათუმის საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ ტელეარხს 277 547 ლარის საგადასახადო დავალიანება უნდა გადაეხადა, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ქონება აუქციონზე გაიყიდებოდა. არხის თანამფლობელმა მერაბ მერკვილაძემ სასამართლოს დადგენილებას პოლიტიკურად მოტივირებული უწოდა და განმარტა, რომ ვალის უმეტესი ნაწილი 2004 წლამდე, იმ პერიოდში დაგროვდა, როცა აჭარის ყოფილმა ხელმძღვანელმა ასლან აბაშიძემ არხი მის კანონიერ მფლობელებს უკანონოდ ჩამოართვა.[75] მერკვილაძე არ უარყოფს, რომ მის კომპანიას საგადასახადო დავალიანება მართლაც აქვს, მაგრამ ის 70,000 ლარს არ აღემატებოდა. ეს თანხა 2006 - 2009 წლებში დაგროვდა.[76] სახალხო დამცველის ჩარევის შემდეგ ფინანსთა სამინისტრო ტელეარხის ვალების რესტრუქტურიზაციას დასთანხმდა.[77]

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

მაუწყებლობის შესახებ კანონი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, როგორც მარეგულირებელ ორგანოს, ავალდებულებს, მეთვალყურეობა გაუწიოს ელექტრონულ კომუნიკაციას, ლიცენზიის მფლობელებს და კანონის დარღვევის შემთხვევაში, მათ შესაბამისი სანქცია

---

[71] „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ინტერვიუ ტელეკომპანია „მაესტროს“ თანამფლობელთან მამუკა ღლონტთან, 2009 წლის 5 ოქტომბერი

[72] Human Right Watch (2009): მსოფლიო ანგარიში, გვ. 378

[73] პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადება გაერთიანებული ერების ასამბლეის 64-ე პლენარულ სხდომაზე, 2009 წლის 24 სექტემბერი

[74] „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ინტერვიუ ტელეკომპანია „მაესტროს“ თანამფლობელთან მამუკა ღლონტთან, 2009 წლის 5 ოქტომბერი

[75] Civil.ge: „ბათუმის ტელეკომპანიის საგადასახადო დავა სახელმწიფოსთან“, 2009 წლის 15 ოქტობერი. http://civil.ge/geo/article.php?id=21886&search=

[76] Media.ge: „ტელეკომპანია „ტელეარხ 25“-ის საგადასახადო ანგარიშებს ყადაღა მოეხსნა“, 2009 წლის 2 ნოემბერი http://www.media.ge/ka/node/26523

[77] Civil.ge: „ომბუდსმენი იმედოვნებს, რომ აჭარის 25-ე არხის დავა სახელმწიფოსთან დადებითად გადაწყდება“, 2009 წლის 30 ოქტომბერი, http://civil.ge/geo/article.php?id=21936&search=

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

დაალოსრპს".[78] „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოსთან" საუბარში რამდენიმე ექსპერტმა და მედიაწარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათი აზრით, საქართველოს კომუნიკაციის კომისიის გადაწყვეტილებების მიღების პროცესი პოლიტიზირებულია, რადგან ის სანქციებს მხოლოდ ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილ არხებს უწესებს. პროსახელისუფლებო არხებს, დარღვევების მიუხედავად, პრობლემები იშვიათად ექმნებათ. მაგალითისთვის, „ალანია" ერთი წელი ლიცენზიის გარეშე გადიოდა ეთერში.[79]

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია ამ ბრალდებას უარყოფს. კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის კახი ყურაშვილის თქმით, ყველა ტელეარხი ერთნაირ პირობებშია და მარეგულირებელმა კომისიამ ეროვნული არხები რამდენჯერმე დააჯარიმა. ყურაშვილი მიიჩნევს, რომ მამუკა ღლონტის განცხადებები „მაესტროს" დისკრიმინაციის შესახებ მის მიერ კარგად მოფიქრებული და წარმატებული სვლა იყო, რითაც ცდილობდა, არხის დაბალი რეიტინგი აემაღლებინა. მისივე თქმით, „არალიცენზრებულ გადაცემებს, „რუსთავი 2"-ის, „იმედისა" და პირველი საზოგადოებრივი მაუწყებლის გარდა, თითქმის ყველა არხი უშვებს. ყველა ამ კანონდარღვევას რომ მივსდიოთ, საქართველოში მხოლოდ სამი არხი დარჩება. აქედან გამომდინარე, მარეგულირებელი კომისია ცდილობს, ეტაპობრივად იმოქმედოს. თავდაპირველად ჩვენ ვაფრთხილებთ არხებს ჯარიმას მხოლოდ მას შემდეგ ვაკისრებთ, თუ დარღვევას არ გამოასწორებენ", თქვა ყურაშვილმა.[80]

ერთი რამ მაინც ცხადია, რომ წესი, რომლის მიხედვითაც კომუნიკაციის ეროვნული კომისიის წევრები ინიშნებიან, მისი პოლიტიკური ნიშნით დაკომპლექტების შესაძლებლობას იძლევა. კომისია ხუთი წევრისგან შედგება. მაუწყებლობის შესახებ კანონის მე-9 მუხლის თანახმად, ისინი ღია კონკურსის წესით შეირჩევიან. კომისიის წევრობის კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ უმაღლესი განათლება და საზოგადოების მაღალი ნდობით სარგებლობდნენ[81]. პრეზიდენტი ყოველ თავისუფალ ადგილზე მინიმუმ სამ კანდიდატს არჩევს, ამ კანდიდატურებს პარლამენტს წარუდგენს და ის უბრალო უმრავლესობით ამტკიცებს მათ. პარლამენტის მიერ დამტკიცებულ წევრებს საბოლოოდ პრეზიდენტი ნიშნავს და ერთ-ერთ მათგანს კომისიის თავჯდომარედ ნიშნავს.[82] Freedom House ამ პროცედურას კრიტიკულად აფასებს და მიიჩნევს, რომ კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია, დაკომპლექტების არსებული წესის გათვალისწინებით, ხელისუფლების გავლენის ქვეშ ექცევა.[83]

2009 წლის ივნისში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავჯდომარედ ირაკლი ჩიქოვანი დაინიშნა. ამ თანამდებობაზე დანიშვნამდე ირაკლი ჩიქოვანი „რუსთავი 2"-ის გენერალური დირექტორი იყო. 2008 წლის ნოემბრიდან ის ამ არხის აქციების 30%-საც ფლობდა[84]. ჩიქოვანმა „რუსთავი 2"-ის აქციები მარეგულირებელი კომისიის თავჯდომარედ დანიშვნამდე რამდენიმე კვირით ადრე გაყიდა.[85]

---

[78] საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ, მე-5 მუხლი

[79] მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს მონაცემები იმის შესახებ, თუ საიდან ფინანსდება „ალანია", რამდენიმე მედია ექსპერტმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოსთან" საუბარში აღნიშნა, რომ „კარგად ცნობილი საიდუმლოს" თანახმად, ეს არხი საქართველოს მთავრობის დეფაქტო საკუთრებაა. IREX 2009 წლის ანგარიში საქართველოს შესახებ იგივე ამბობს

[80] „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" ინტერვიუ საქართველოს კომუნიკაციების კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსთან კახი ყურაშვილთან, 2009 წლის 13 ოქტომბერი

[81] საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ, მე-9 მუხლი

[82] საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ, მე-9 მუხლი

[83] Freedom House: პრესის თავისუფლება, საქართველო, 2009 წელი, http://freedomhouse.org/template.cfm?page=251&year=2009

[84] United States Department of State: 2008 წლის ანგარიში ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ http://www.state.gov/g/drl/rls/hrrpt/2008/eur/119080.htm.

[85] Civil.ge: „რუსთავი 2"-ის ყოფილი დირექტორი კომუნიკაციების კომისიის წევრად აირჩიეს, http://www.civil.ge/geo/article.php?id=21349&search=
„რუსთავი 2-ის" მფლობელობაში ბოლო დროს მომხდარი ცვლილებების შედეგად (ეს ცვლილება მეოთხეა „ვარდების რევოლუციის" შემდეგ), არხის აქციების 70%-ს ფლობს ამჟამად ოფშორული კომპანია Degson Limited, ვირჯინის კუნძულებზე რეგისტრირებული კომპანია ფლობს, ხოლო 30%-ს „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი"

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

ზოგადად, დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისია თავისუფალი, გამჭვირვალე და კონკურენტუნარიანი სატელევიზიო ბაზრის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტია. მიუხედავად იმისა, რომ ეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ვიწრო განმარტებით ინტერესთა კონფლიქტს არ წარმოადგენს, კომისიის თავჯდომარის მიერ წამყვანი ტელეარხის აქციების უცნობ ფასად, თავმჯდომარედ დანიშვნამდე ცოტა ხნით ადრე გაყიდვა, კომისიის მიმართ საზოგადოების ნდობას ვერ განამტკიცებს.

პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ ამჟამად კომუნიკაციების ეროვნული კომისია სამაუწყებლო ლიცენზიებს არ გასცემს. 2008 წლის მაისში მარეგულირებელმა ლიცენზიების გაცემა დროებით შეაჩერა. ამის მიზეზი, მისი განცხადებით, იყო ის, რომ კომისიას სურდა, სამაუწყებლო ბაზარი შეესწავლა და დაედგინა, თუ რა პრიორიტეტებზე უნდა გამახვილებულიყო მომავალში ყურადღება ანუ რა სახის ლიცენზიები უნდა გაეცა. მას შემდეგ წელიწადნახევარი გავიდა, ეს პროცესი კი კვლავ გრძელდება და ჯერაც უცნობია, როდის დასრულდება.[86] ამრიგად, მარეგულირებელმა კომისიამ წარმოშვა დროებითი ბარიერი, რომელიც ბაზარზე ახალი მოთამაშის გაჩენას ხელს უშლის.[87] კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ეს ქმედება შეიძლება საქართველოს მაუწყებლობის შესახებ კანონის დარღვევად განვიხილოთ, რადგან კანონის თანახმად კომისიამ, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, ხელი უნდა შეუწყოს კონკურენტული გარემოს შექმნასა და განვითარებას.[88]

გარდა ამისა, კანონში აღნიშნულია, რომ კომუნიკაციების კომისიამ მის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება და გამოცემული აქტი ფართო აუდიტორიისთვის ხელმისაწვდომი უნდა გახადოს.[89] ამის მიუხედავად, კომისიის საქმიანობის შესახებ იფორმაცია განსაჯაროებული, თუნდაც მისი ვებგვერდზე დადების გზით, არ არის.[90]

კანონის თანახმად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, მისი მიღებიდან 30 დღის განმავლობაში, შეიძლება გასაჩივრდეს თავად კომისიაში ან თბილისის საქალაქო სასამართლოში.[91] „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წარმომადგენელმა თამარ კორძაიამ აღნიშნა, რომ სასამართლო კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს არასდროს ცვლის. მაგალითად, მისი აზრით, „მაესტროსა“ და მარეგულირებელ კომისიას შორის დავაში კანონდარღვევა მარეგულირებლის მხრიდან ნათელი იყო, თუმცა, სასამართლომ „მაესტროს“ სარჩელი არ დააკმაყოფილა.[92]

მიმართა

2007 წლის ნოემბერში „მაესტრომ“ მარეგულირებელ კომისიას და ლიცენზიის შეცვლა მოითხოვა, რათა გასართობი პროგრამების გარდა, პოლიტიკური თოქშოუებიც გადაეცა. კომისიას ლიცენზია შეცვლილი არ ჰქონდა, როცა „მაესტრომ“ პოლიტიკური გადაცემების გაშვება დაიწყო, რის გამოც მან მარეგულირებლისგან გაფრთხილება მიიღო. „მაესტრომ“ დარღვევა აღმოფხვრა და ლიცენზიის შეცვლის თხოვნით ისევ მიმართა კომისიას, მაგრამ მის მიერ უკვე ჩადენილი დარღვევის გამო, მარეგულირებელმა ახალი ლიცენზიის გაცემაზე უარი უთხრა. „მაესტრომ“ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა, მაგრამ მან კომისიის გადაწყვეტილება გაამართლა. საბოლოო ჯამში, „მაესტრომ“ განახლებული ლიცენზია მხოლოდ მას შემდეგ მიიღო, რაც ამ საკითხის გადაწყვეტაში

[86] საქართველოს კომუნიკაციების კომისიამ ახალი პრიორიტეტების განსასაზღვრად კვლევების ჩატარება და მონაცემების შეგროვება დაქირავებულ კომპანიას დაავალა. კომისია აცხადებს, რომ ის უკმაყოფილოა შესრულებული სამუშაოს ხარისხით. მან უკვე ორჯერ დაიწუნა ამ კომპანიის მიერ მიწოდებული ინფორმაცია და მას ახალი კვლევის ჩატარება მოსთხოვა. ამ ეტაპზე კომისია ახალი კვლევის შედეგებს ელოდება
„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ინტერვიუ საქართველოს კომუნიკაციების კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსთან კახი ყურაშვილთან, 2009 წლის 13 ოქტომბერი

[87] თუმცა, შესაძლებელია უკვე ლიცენზიის მქონე არხის ყიდვაც. Real TV სწორედ ასე მოიქცა და მან მაუწყებლობა 2009 წლის ოქტომბრის დასაწყისში დაიწყო

[88] საქართვეოლოს კანონი მაუწყებლობის შესახებ, მე-5 მუხლი

[89] საქართვეოლოს კანონი მაუწყებლობის შესახებ, მე-7 მუხლი

[90] „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ ლიცენზიის მფლობელთა შესახებ ინფორმაცია საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით მოიპოვა

[91] საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ, მე-6 მუხლი

[92] „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ინტერვიუ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წარმომადგენელთან თამარ კორძაიასთან

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

პარლამენტის თავმჯდომარე ჩაერია.[93] ამ ფაქტს გასული წლის ნოემბერში სახალხო დამცველიც გამოეხმაურა. მან აღნიშნა, რომ მარეგულირებელი კომისიის მიერ ლიცენზიცების გაცემა პოლიტიკური ზეწოლის იარაღად იქცა. „მაესტროს“ მაგალითით სოზარ სუბარი მარეგულირებელს ხელისუფლების მიერ შეკვეთილი პოლიტიკური დავალებების შესრულებაში ადანაშაულებდა.[94]

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი

საზოგადოებრივი მაუწყებელი ორ რადიოსადგურს, პირველ საზოგადოებრივ არხს და მე-2 არხს (დღესდღეობით ამ არხის სრული რესტურქტურიზაცია მიმდინარეობს) ფლობს. 2009 წლის პირველ ნახევრის მონაცემებით, სატელევიზიო ბაზრის 8%-იანი წილით[95], საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი მაუწყებელია[96]. სამეურვეო საბჭოს თავჯდომარემ ლევან გახელაძემ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოსთან” საუბარში აღნიშნა, რომ ერთი წლის წინ პირველი არხის წილი ბაზარზე მხოლოდ 2%-ს შეადგენდა.

ამჟამად საზოგადოებრივ მაუწყებელზე რამდენიმე ყოველკვირეული პოლიტიკური თოქშოუა. მათი გაშვება პარლამენტმა 2008 წლის ბოლოს კანონში შესაბამისი ცვლილების შეტანის გზით მოითხოვა. ლევან გახელაძის თქმით, პირველი არხი ამზადებს ახალ გადაცემებსაც, რომელთა მიზანი ფაქტებზე დაფუძნებული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური დისკუსიების გამართვა იქნება[97]. ჯერჯერობით საზოგადოებრივ მაუწყებელზე საგამომძიებლო ჟურნალისტიკა არ არის წარმოდგენილი.

საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობას მეთვალყურეობას უწევს სამეურვეო საბჭო, რომელიც 9 წევრისგან შედგება. ახლო მომავალში საბჭოს წევრთა რაოდენობა 15-მდე გაიზრდება. კანონის თანახმად, სამეურვეო საბჭოს წევრები ღია კონკურსის წესით შეირჩევიან. კონკურსში მონაწილეობის მიღება საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია.[98] მათგან პრეზიდენტი ირჩევს ერთ ადგილეზე სულ მცირე სამ პიროვნებას და მათ კანდიდატურებს წარუდგენს პარლამენტს. საბჭოს წევრებს პარლამენტი საჯარო მოსმენების საფუძველზე, უბრალო უმრავლესობით ამტკიცებს.[99] იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ამ ეტაპზე პრეზიდენტი მმართველი პარტიის ლიდერია და პარლამენტში ამავე პარტიას საკონსტიტუციო უმრავლესობა აქვს, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს, რეალურად, მთლიანად ერთი პარტია აკომპლექტებს.

სამეურვეო საბჭოს ძირითად მოვალეობებში საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტის დამტკიცება და მისი ხარჯვის ზედამხვედველობა შედის. ის ასევე უფლებამოსილია, დანიშნოს არხის გენერალური დირექტორი. როდესაც სამეურვე საბჭო მმართველი პარტიის მიერ არის არჩეული, ადვილი შესაძლებელია, მან ისეთი დირექტორი შეარჩიოს, ვინც თავისი საქმიანობით პარტიის ინტერესებს ზიანს არ მიაყენებს.

2008 წლის თებერვალში ოპოზიციურ პარტიებსა და მმართველ პარტიას შორის შედგა არაფორმალური, ზეპირი შეთანხმება, რომლის საფუძველზეც საბჭოს 3 წევრი ოპოზიციურმა

---

[93] „საერთაშორისო გამჭვირავლობა საქართველოს“ ინტერვიუ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წარმომადგენელთან თამარ კორძაიასთან, 2009 წლის 5 ოქტომბერი

[94] Civil.ge: „სახალხო დამცველმა სიტყვის თავისუფლების პრობლემებზე მოხსენება წარმოადგინა“, http://civil.ge/geo/article.php?id=20005&search=

[95] ურბანულ მოსახლეობაში

[96] 2007 წელს მხოლოდ უკრაინისა (პირველი არხი) და თურქეთის (TRT da TRT2) ტელევიზიები ფლობდნენ კიდევ უფრო ნაკლებ საბაზრო წილს, http://mediaresearch.orf.at/c_international/console/console.htm?y=1&z=2

[97] „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ინტერვიუ პირველი საზოგადოებრივი არხის სამეურვეო საბჭოს ხელმძღვანელთან ლევან გახელაძესთან, 2009 წლის 7 ოქტომბერი

[98] კანდიდატი უნდა სარგებლობდეს საზოგადოების ნდობით, მას უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება და სულ მცირე ხუთი წლის სამუშაო გამოცდილება. სამეურვეო საბჭოს წევრი ექვსი წლის ვადით ირჩევა. საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ, 24-ე და 25-ე მუხლები

[99] საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ, 24-ე და 25-ე მუხლები

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

პარტიებმა დანიშნეს.[100] მომდევნო წლის აპრილში საბჭოს ოთხმა წევრმა თანამდებობები დატოვა. მათი თქმით, ამის მიზეზი პირველი არხის მიერ პრეზიდენტის წინააღდეგ მიმართული საპროტესტო აქციების პროსახელისუფლებო კუთხით გაშუქება იყო.[101] გამოთავისუფლებული ადგილები ივლისის ბოლოს შეივსო. აგვისტოში სამეურვეო საბჭომ, ძველი დირექტორის გადადგომის შემდეგ, არხის ახალ გენერალურ დირექტორად გია ჭანტურია დანიშნა. მედიაექსპერტთა ნაწილის აზრით, ის ხელისუფლების ფავორიტი კანდიდატი იყო (გია ჭანტურიას ხმა საბჭოს ხუთმა წევრმა მისცა, სამმა თავი შეიკავა).[102]

საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურ დირექტორად ხელისუფლებისთვის სასურველი კანდიდატის დანიშვნა მას შემდეგ მოხდა, რაც პრეზიდენტმა საპარლამენტო გამოსვლისას მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს გაფართოების შესახებ გააკეთა განცხადება. ამით ის ოპოზიციურ პარტიებს 15-დან 7 ადგილის დაკავების საშუალებას აძლევდა. ისევ ზეპირი მოლაპარაკების გზით გადაწყდა, რომ 7 კანდიდატს ხელისუფლება შეარჩევდა, 7-ს ოპოზიცია და ერთს სამოქალაქო საზოგადოება. სააკაშვილის განცხადებით, ამ ცვლილების მიზანი საზოგადოებრივი მაუწყებლის დეპოლიტიზირება იყო.[103]

რეალურად, საბჭოს ამ სახით დაკომპლექტება მის დეპოლიტიზირებას ხელს ვერ შეუწყობს, პირიქით, შესაძლოა, პოლიტიკურმა პარტიებმა იმაზე უფრო იზრუნოს, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა არც ისინი აკრიტიკოს. ეს არხს კიდევ უფრო დამთმობად აქცევს და მის აუდიტორიას ვერ გაზრდის.

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ხელმძღვანელმა ლევან გახელაძემ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოსთან“ საუბარში აღნიშნა, რომ შეთავაზებული რეფორმის ეფექტიანობის მას ეეჭვება. ლევან გახელაძე უფრო ოპტიმალურ ვარიანტად თვლის ისეთ მოდელს, სადაც საბჭოს წევრები რეგიონებისა და ძირითად ინტერესთა ჯგუფების, მაგალითად, აკადემიური წრეების, ახალგაზრდობის, ბიზნესის, უნარშეზღუდული პირების და სხვა სახის წარმომადგენლები იქნებიან.[104] საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „მე-19 მუხლი“, რომლის მიზანიც გამოხატვის თავისუფლების მხარდაჭერაა, საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობის გარანტად სწორედ ასეთ მოდელს თვლის. ის მხარს უჭერს კანდიდატების საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ დასახელებას და პარლამენტის მიერ მათი ხმების ორი მესამედით დამტკიცებას, რასაც წინ გამჭვირვალე და საჯარო მოსმენები უნდა უძღოდეს.[105] „მე-19 მუხლის“ მსგავსად, „ევროპული მაუწყებლობების კავშირიც“ (ამ გაერთიანების წევრი საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელიცა არის) საბჭოს მთლიანად სამოქალაქო საზოგადოებისა და ინსტიტუტების წარმომადგენლებით დაკომპლექტებას ემხრობა.[106]

2009 წლის ოქტომბერში, როცა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ჯერ კიდევ მიმდინარეობდა სამეურვეო საბჭოსთან დაკავშირებული დებატები, საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა მოითხოვეს, რომ დისკუსია დაწყებულიყო საბჭოს ფუნქციების გაზრდაზეც, რათა მისი საქმიანობა უფრო შედეგიანი ყოფილიყო. ზოგადად, სამეურვეო საბჭოს მხრიდან არხის ყოველდღიურ საქმიანობაში და მის სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევა ევროპულ

[100] Civil.ge: „პარლამენტმა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო დაამტკიცა“, http://www.civil.ge/geo/article.php?id=17589&search=

[101] Civil.ge: „საზოგადოებრივი მაუუწყებლის სამეურვეო საბჭოს სამი ახალი წევრი ჰყავს“, http://www.civil.ge/geo/article.php?id=21593&search=

[102] Civil.ge: „საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი დირექტორი გია ჭანტურია გახდა“, http://www.civil.ge/geo/article.php?id=21634&search=

[103] Civil.ge: „საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრების რაოდენობა 15-მდე გაიზრდება“, http://www.civil.ge/geo/article.php?id=21577&search=

[104] „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ინტერვიუ პირველი საზოგადოებრივი არხის სამეურვეო საბჭოს ხელმძღვანელთან ლევან გახელაძესთან, 2009 წლის 7 ოქტომბერი

[105] „მე-19 მუხლი“ (2005): "საზოგადო მაუწყებლის კანონის მოდელი“

[106] ევროპის მაუწყებლობების კავშირი http://www.ebu.ch/departments/legal/pdf/leg_p_model_law_psb.pdf

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

სტანდარტებს ეწინააღმდეგება[107], თუმცა, ლევან გახელაძე ეთანხმება იმ აზრს, რომ საბჭოს უნდა ჰქონდეს მაუწყებელში სამ ძირითად თანამდებობაზე კანდიდატების ვეტოს უფლება. ესენია: საინფორმაციო სამსახურის დირექტორის, პროგრამების დირექტორის და ფინანსური დირექტორის თანამდებობები[108].

საზოგადოებრივ მაუწყებელთან დაკავშირებული მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა მისი დაფინანსების მექანიზმია. საზოგადოებრივი მაუწყებელი 2005 წელს შეიქმნა და მას საკმაოდ უნიკალური დაფინანსების სიტემა ჰქონდა.[109] ის ფულს არა სავალდებულო გადასახადების გზით, არამედ სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებდა. კანონი ადგენდა, რომ მაუწყებლის ბიუჯეტი მთლიანი შიდა პროდუქტის 0,15% უნდა ყოფილიყო.[110] ეს ნორმა იმის გარანტი იყო, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსება ფინანსთა სამინისტროსა თუ პარლამენტის პოლიტიკურ ნებაზე არ ყოფილიყო დამოკიდებული.

გასულ წელს რეგულირების ეს ფორმა შეიცვალა. ახლა საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტი მთლიან შიდა პროდუქტზე მიბმული აღარ არის. დაფინანსების ახალი სისტემით მაუწყებლის ბიუჯეტი მთლიანად ხელისუფლებაზეა დამოკიდებული. 2008 წელს საზოგადოებრივ მაუწყებელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 20,5 მილიონი ლარი გამოეყნო, 2009 წელს 25,5 მილიონი ლარი. 2009 წლის 7 ოქტომბერს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოსთან“ საუბარში ლევან გახელაძემ აღნიშნა, რომ 2010 წლისათვის ის 28,5 მილიონი ლარის გამოყოფას ელოდა. 8 ოქტომბერს გამოქვეყნებულ 2010 წლის ბიუჯეტის პროექტში საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტი 22 მილიონი ლარით განისაზღვრა.[111] ამ არხის სარეკლამო შემოსავალი წელიწადში დაახლოებით 500,000 ლარია, რაც მისი წლიური ბიუჯეტის მხოლოდ 2%-ს შეადგენს.[112]

ახლანდელი ფინანსური მოდელი საზოგადოებრივ მაუწყებელს არ აძლევს საშუალებას, წინასწარ ეფექტიანად დაგეგმოს ის ძირითადი ხარჯები და ინვესტიციები, რომელთა გაწევაც მას სამომავლო საქმიანობისთვის, მათ შორის, მეორე არხის რეფორმირებისთვის მოუწევს. ეს მოდელი ვერც მაუწყებლის ფინანსურ დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს. ფინანსთა სამინისტროსა და პარლამენტს ადვილად შეუძლიათ, მათ ხელთ არსებული ბერკეტი გამოიყენონ და ბიუჯეტზე ზემოქმედებით გავლენა არხზეც იქონიონ.[113]

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი ახლო მომავალში განახლებული მე-2 არხის გაშვებას აპირებს. ის პოლიტიკური არხი იქნება და სავარაუდოდ, შეერთებული შტატების CSPAN-ის კონცეფციას გადმოიღებს. მე-2 არხი გააშუქებს „პოლიტიკას კომენტარების გარეშე“[114], მათ შორის,

---

[107] BBC-ის სამეურვეო საბჭო, სხვა მოვალეობებთან ერთად, თვალყურს ადევნებს სარედაქციო სტანდარტებს და განიხილავს საჩივრებს, მაგრამ მას არხის პროგრამებზე პირდაპირი გავლენა არა აქვს, http://www.bbc.co.uk/bbctrust/about/how_we_operate/committees/index.shtml

[108] „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ინტერვიუ პირველი საზოგადოებრივი არხის სამეურვეო საბჭოს ხელმძღვანელთან ლევან გახელაძესთან, 2009 წლის 7 ოქტომბერი

[109] ევროპული საზოგადოებრივი მაუწყებლების დიდი ნაწილი სპეციალური გადასახადებით ფინანსდება

[110] სახელმწიფო ბიუჯეტში საზოგადოებრივი მაუწყებლის წილის განსაზღვრისას პარლამენტი წინა წლის მთლიან შიდა პროდუქტს დაეყრდნო, ნაცვლად იმისა, რომ იმავე საბიუჯეტო წლის, მთლიანი შიდა პროდუქტის უფრო გაზრდილი მაჩვენებელი გამოეყენებინა. IREX: მედიის მდგრადობის ინდექსი 2006-2007, http://www.irex.org/programs/msi_eur/2006/georgia.asp

[111] Civil.ge: „2010 წლის საბიუჯეტო მონაცემები“, http://www.civil.ge/geo/article.php?id=21856&search=

[112] საზოგადოებრივ მაუწყებელს პრაიმ-ტაიმის დროს (საღამოს 7 საათიდან ღამის 12 საათამდე) რეკლამების გაშვების უფლება არა აქვს
„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ინტერვიუ პირველი საზოგადოებრივი არხის სამეურვეო საბჭოს ხელმძღვანელთან ლევან გახელაძესთან, 2009 წლის 7 ოქტომბერი

[113] მიკლოს ჰარასზტი, ეუთოს მედიის თავისუფლების ექსპერტი საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსების დამოუკიდებლობის სამ წინაპირობად ასახელებს: 1. საზოგადოებრივი არხის ხარისხიანი საქმიანობისთვის ადეკვატურ წლიური დაფინანსებას, 2. წინასწარ გარანტირებულ რამდენიმეწლიან (უწყვეტ) დაფინანსებას, რათა ყოველწლიური მოლაპარაკებების აუცილებლობა გამოირიცხოს და ამით კორუფციისა და საბაზრო ჩავარდნების რისკი შემცირდეს, 3. დაფინანსების განსაზღვრისას ინფლაციის გათვალისწინებას. ეუთო (2008): „მედიის თავისუფლებისათვის ათი წელი: არსებული და მომავალი გამოწვევები“, გვ. 117
http://www.osce.org/publications/rfm/2008/09/32993_1179_en.pdf

[114] „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ინტერვიუ პირველი საზოგადოებრივი არხის სამეურვეო საბჭოს ხელმძღვანელთან ლევან გახელაძესთან, 2009 წლის 7 ოქტომბერი

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

საპარლამენტო დებატებს, პოლიტიკური პარტიების პრესკონფერენციებს, პოლიტიკოსებს შორის დებატებს და ა.შ. ყველაფერი ეს 2010 წლის დასაწყისისთვისაა დაგეგმილი. თავდაპირველად მე-2 არხი მხოლოდ თბილისში იმაუწყებლებს. ლევან გახელაძის თქმით, საზოგადოებრივ მაუწყებელს ჯერ არა აქვს იმის ტექნიკური შესაძლებლობები, რომ მე-2 არხმა მთელი საქართველო დაფაროს, თუმცა, ის იმედოვნებს, რომ მე-2 არხის სიგნალს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ადგილობრივი საკაბელო ტელევიზიების პროვაიდერები გაავრცელებენ.[115]

მე-2 არხის გარდაქმნა სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია, თუ, რა თქმა უნდა, ის ობიექტურ პოლიტიკურ განხილვებს დაუთმობს ეთერს და ამით საქართველოში კონსტრუქციული პოლიტიკური დიალოგის დამკვიდრებას დაეხმარება, თუმცა, პოლიტიკოსებს შორის დებატები ნაციონალურ არხებზე ახლაც იმართება და ისინი პარტიების პრესკონფერენციებს აშუქებენ. რაც ქართულ ტელესივრცეს ყველაზე მეტად აკლია, ისეთი გადაცემები და სიუჟეტებია, სადაც ნებისმიერი ბანაკის პოლიტიკოსების ობიექტური და კრიტიკული შეფასებები გაკეთდება და ჟურნალისტები ყველაზე მწვავე საკითხებს დაუბრკოლებლად გააშუქებენ.

[115] სასურველია, საქართველოში სავალდებულო მოთხოვნა იყოს, რომ საკაბელო ტელეარხების მფლობელებმა საზოგადოებრივი მაუწყებლის მე-2 არხის სიგნალი გადასცენ. ასეთი წესის შემოღება შესაძლებელს გახდის, რაც შეიძლება ბევრმა ხალხმა უყუროს საზოგადოებრივი მაუწყებლის ორივე არხს

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

რეკომენდაციები

- აუცილებელია, რომ დაჩქარდეს საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის რეფორმირების პროცესი და ის ფართო და ღია დისკუსიის ფონზე წარიმართოს. გაძლიერებული პირევლი არხი, ინფორმატიული და კრიტიკული სიუჟეტებით, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ყინულის დაძვრას და უფრო პლურალისტური სატელევიზიო სივრცის ჩამოყალიბებას. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო უნდა გათავისუფლდეს პოლიტიკური გავლენისგან. ამის მიღწევის ერთ-ერთი გზა მისი წევრობის კანდიდატების შერჩევის ექსკლუზიური უფლების სამოქალაქო საზოგადოებისა და სხვადასხვა ინტერეს ჯგუფებისთვის მინიჭებაა. წევრების დამტკიცება საჯარო მოსმენების, მაქსიმალურად გამჭვირვალე პროცესის და პარლამენტის ხმათა ორი მესამედის უმრავლესობით უნდა ხდებოდეს.

- მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსების სისტემის შეცვლაც. დღესდღეობით დაფინანსების რაოდენობას მთლიანად ხელისუფლება წყვეტს, რაც მაუწყებლის დამოუკიდებლობას საფრთხეს უქმნის. ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზა შეიძლება იყოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სიგნალის მიღების გადასახადის დაწესება. ეს, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობას, ასევე მისი დაფინანსების პროგნოზირებას და სამომავლო საქმიანობის უკეთესად, უფრო გრძელვადიან პერსპექტივაში დაგეგმვასაც შეუწყობს ხელს. უფრო მეტიც, თუ საქართველოს მოქალაქეები პირდაპირ გადაიხდიან საზოგადოებრივ მაუწყებელთან დაკავშირებულ სპეციალურ გადასახადს, ისინი უკეთესად იგრძნობენ, რომ ამ არხის მფლობელები თავად არიან და მოითხოვენ, რომ არხი ანგარიშვალდებული, პირველ რიგში, მათ მიმართ იყოს.[116]

- საქართველოს მედიარეგულირების არსებული სისტემა მედიის მფლობელთა გამჭვირვალობას და კონკურენტუნარიან, პლურალისტურ სატელევიზიო ბაზარს ვერ უზრუნველყოფს. საჭიროა, განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც ოფშორულ, გასაიდუმლოებულ კომპანიებს მედია საშუალებებში წილების ფლობა აეკრძალებათ და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ექნება შესაძლებლობა, იცოდეს ვინ არიან იმ იურიდიული პირების მეწილეები, რომლებიც მედია საშუალებების მფლობელები ან თანამფლობელები არიან.

- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დეპოლიტიზაციისთვის აუცილებელია კომისიის წევრების დანიშვნის წესის შეცვლა და მისი საქმიანობის გამჭვირვალობის გაზრდა, რათა მან უფრო ეფექტიანად იმუშაობას და ამით, როგორც კომისიის, ასევე სატელევიზიო სივრცის მიმართ საზოგადოების ნდობა გაამყაროს.

თუ გსურთ, მომავალში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ პუბლიკაციები ავტომატურ რეჟიმში მიიღოთ, მოგვწერეთ მისამართზე: info@transparency.ge

*ეს ანგარიში მომზადდა **„ირლანდიური დახმარებისა“** და **საქართველოში ბრიტანეთის საელჩოს** მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. პროექტის სახელწოდებაა „საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების მონიტორინგი“. ანგარიში მოამზადა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“. ის არ გამოხატავს დონორი ორგანიზაციების ოფიციალურ პოზიციას.*

[116] იხილეთ ასევე: ევროპის მაუწყებლობების კავშირი (2003), http://www.ebu.ch/departments/legal/pdf/leg_p_model_law_psb.pdf

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge